ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

აზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
ამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს
№69 (1579)
10–12 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სატელეფონო საუბარი გროზნოდან სოხუმის დაცემის დღეს

რედაქციისაგან:
ოლო ხანს სატელე-
ვონო საუბრების მო-
მენასთან დაკავში-
ებით ამტყდარი ბუ-
ის გამო, რედაქტო-
რის საუბრების გაშ-
ფრული ტექსტების
იებაში, რედაქციას
ელთ ჩაუვარდა
როზნოსა და ზუგ-
იდს შორის გამა-
თული დიალოგის
აშიფრული ჩანაწ-
რებიც. ვაქვეყნებთ
993 წლის 27 სექტემ-
ერს, სოხუმის დაცე-
ის დღეს, გროზნოსა
და ზუგდიდს, მ.არ-
ვაძესა და ვინმე ბად-
რის შორის გამართუ-
ლი სატელეფონო სა-
ბრის ტექსტს, რო-
ელიც ერთობ საინ-
ტერესოა დაკვირვე-
ული მკითხველისა-
ვის. რად ღირს
თუნდაც ერთი ფრა-
ზა – „მგონი ყველა-
ფერი კარგად მი-
დის“...



*1993 წლის 27 სექტემბერს, 15 საათსა და 38 წუთზე 4230 კჰც სიხშირეზე შესდგა რადიოკავშირი „ოდიშს“ (ზუგდიდი, ბადრი) და „კვადრატს“ (გიორგი, მანანა) შორის.*

**„კვადრატი“** – გამარჯობა, ბადრი.

**„ოდიში“** – (ბადრი) როგორა ხარ?

**„კ“** – (გიორგი) ბადრია, შენა ხარ?

**„ო“** – ხო, ხო.

**„კ“** – რავაა საქმეები, ეხლა მითქვი, თორემ...

**„ო“** – საქმეები მიდის კარგად, ყველაფერი კარგადაა.

**„კ“** – სად იყავით, რომ არ მოდიოდით ხაზზე?

**„ო“** – გუშინ მიტინგი იყო, მერე გავედით სხვაგან, ველარ მოვედით.

**„კ“** – სად სხვაგან?

**„ო“** – სხვაგან გავედით, ის მოვინახულეთ, რაღაც რაიონები.

**„კ“** – ხალხი როგორ შეგხვდათ?

**„ო“** – ხალხი გადარეულია.

**„კ“** – ბიჭო, ჩემს პირველს რომ შეხვდები, ჩემი პირველი ხომ იცი, ვინ არის?

**„ო“** – გავიგე.

**„კ“** – ჩემს პირველს რომ შეხვდები, უთხარი, წასვლის წინ შენმა... რაც გთხოვა-თქო, არ დაგავიწყდესო, უთხარი. გაიყვანე ცალკე და უთხარი.

**„ო“** – ვერ გავიგე, ვისზე ლაპარაკობ.

**„კ“** – მამაჩემს უთხარი, წასვლის წინ რაც ვთხოვე, ის დააჩქაროს, გაიყვანე ცალკე და უთხარი.

**„ო“** – გავიგე.

**„კ“** – სხვა რა ამბებია? საჩუქრები რომ გაგატანე, კამფეტები და „ბამბანიერკები“, ბიჭებს დაურიგე, ტომრებში რომ ვაწყობდით?

**„ო“** – კი.

**„კ“** – კარგი, ეხლა მანანას ელაპარაკე, გაუფრთხილდი თავსაც, რაც გითხარი, დღესვე გააკეთე. მე რომ რაღაცა გაჩუქე აქედან წასვლისას, ის ვინმეს ხომ არ დაუშავებია, ან რაღაც.

**„ო“** – ვერა, ვერ გავბედავენ.

**„კ“** – ხომ უთხარი, რომ ის

2

## საქართველოს საგადასახადო კოდექსი

5

## ვახტანგ გოგუაძე: მე და კგბ

3

## რჩევა დამნაშავე ბანდიტებს

3

## რა ხდება კოდორში

4

## რანი ვიქნებით?



9

# შერეკილები ქართულ პოლიტიკაში

*ქართული პოლიტიკის კულისებიდან ნელ-ნელა ავანსცენაზე იმდენი შერეკილი გამოდის, ცოტა ხანში (თუ სერიოზულმა, საღმა ძალებმა არ იმარჯვეს და ყველაფერს თავისი სახელი არ დაარქვეს), ჩვენი ცხოვრება ერთ დიდ კლოუნადას დაემსგავსება.*

*რად ღირს თუნდაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავგანწირული „მოღვაწეობა" და „გმირული ბრძოლა" არა მტრისთვის ტერიტორიების, არამედ ერთმანეთისთვის ოფისის წასართმევად.*

*დიახ, ვინმე კახნიაშვილი, სოციალ-დემოკრატების ახალი კაშკაშა ვარსკვლავი, დასტაკებია მუჩაიძეს, სოციალ-დემოკრატების უკვე მზედაკრულსა და გახუნებულ ვარსკვლავს.*

*ბრძოლა მედგარია და შეუპოვარი. ვინ აიღებს „რაიხსტაგს", რომელიც ჩიტაძის ქუჩაზე მდებარეობს და ვინ დაეპატრონება ოფისს, ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი და ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან, ალბათ, კიდევ ბევრი სიურპრიზი გველის, მაგრამ კახნიაშვილს ერთი რამ მტკიცედ გაურკვევია. „ახალი თაობის" ფურცლებიდან დემაგოგიურად აცხადებს, იუსტიციის მინისტრი „თედო ნინიძე მუჩაიძეს და სამშობლოს ღალატში ეჭემიტანილ იგორ გიორგაძეს მფარველობს"-ო.*

*ამ ცენტრდაკარგული კაცის ამ არდასაკარგ განცხადებას ეპიგრამით გამოეხმაურა სოცდეკების ძველი „მეგობარი", ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი.*

*გთავაზობთ ეპიგრამას:*

## რომელი „სოცდეკი" ჯობია?!

ჰოი! უძვალო ენაო,
უსირცხვილოდ ანაყბედო!
ერუდირებულ ნინიძეს,
გსურს ჭუჭყი მიაზვეტო!!!
ქვეყნის ღალატში „ამხილო"
შიშისგან დააფეთო,
მინისტრმა კანონთმოყვარემ
თავი რა შარში შედო...

* * *

მოსკოვის ორი აგენტის
დავაში განაჭედო,
ორ მჟავის ქილას
„სოც-დეკურს"

რუსის უსხია დედო,
ორივეს ყოვლისკადრების
დაღი შუბლებზე ედო,
შენ მხოლოდ კანონს მიემხარ
სიმართლის მცველო მტრედო,
ადგა და ნარცხის ჭურჭელმა
მოგასხა რაც შიგ ედო:
ი.გიორგაძის მფარველად
გამოგაცხადა თედო!
მართლა ფუ! მყრალად
ნაქნევო,
სოცდეკის უძვლო ლვედო!..

„სოცდეკთმბოდნე"

# თავდაცვის სამინისტრო სამხედრო დაკვეთებს ფქვილით ანაზღაურებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკას „იმერეთი" სამხედრო დაკვეთა ფულის [illegible]ულად ფქვილით აუნაზღაურა. გასულ წელს თავდაცვის სამინისტრო იგივენაირად მოიქცა თბილისის საწარმოებთან.

იმერეთის ეკონომიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ქაჯაიამ მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის ბიუჯეტის შევსების საკითხებზე გამართულ სხდომაზე პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ „130 ათასი ლარის ღირებულების შეკვეთა 250 ტონა ფქვილით ანაზღაურდა".

სხდომის მუშაობაში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა და მთავრობის სხვა წევრებმა. როგორც პრაიმ-ნიუსს ქაჯაიამ აცნობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანება ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის ობიექტებისადმი, რომლებიც მიმდინარე წელს მის დაკვეთებს ასრულებდნენ, 800 ათას ლარს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს დავალიანებებს საწარმოებისადმი რეგულარული ხასიათი აქვს. „გასულ წელს თავდაცვის სამინისტრომ 1,5 მილიონი ლარის სამუშაო დაუკვეთა თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს, რომელთა ასანაზღაურებლად ფინანსთა სამინისტრომ გამოყო თანხა, ხოლო ვარდიკო ნადიბაიძის უწყებამ იგი საჩვენებელ სამხედრო სწავლებზე დახარჯა" – უთხრა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო კანცელარიის უცნობად დარჩენის მსურველმა წარმომადგენელმა.

მისი თქმით, „თავდაცვის სამინისტრო წლიდან წლამდე ახალ-ახალ პრობლემებს უქმნის ქვეყნის კერძო, თუ სახელმწიფო საწარმოებს".

„თავდაცვის სამინისტრო ქუთაისელ მეწარმეებს ვალების დაფარვას პირდება, მაგრამ როდის მოხდება ეს, არავინ იცის" – უთხრა პრაიმ-ნიუსს საჯაიამ და დაამატა, რომ „სამხედროები დავალიანებებს ფინანსთა სამინისტროს აბრალებენ, ხოლო ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ ამ მიზნით თანხები არ გამოიყოფა".

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მირიან მურჯიკნელმა აცნობა, მისმა უწყებამ ქუთაისის ავტოქარხანას უკვე 400 ათასი ლარი გადაურიცხა თავდაცვის სამინისტროს ვალების დასაფარად.

ვარდიკო ნადიბაიძემ ავტოქარხანას 25 ათასი დოლარის ღირებულების ავტომანქანები დაუკვეთა. „ჩვენ კიდევ ვიფიქრებთ თავდაცვის სამინისტროს დანარჩენი დავალიანების დასაფარი თანხის გამოყოფაზე" – თქვა მირიან მურჯიკნელმა.

**ინგა ღაღიანი,**
პრაიმ-ნიუსი

# მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სატელეფონო საუბარი გროზნოდან სოხუმის დაცემის დღეს

პირველი გვერდიდან

პიროვნება ჩამოვა და კისერს მოგიგრეხავსო, გაიგე?

„ო" – გასაგებია.

„ქ" – აბა შენ იცი, რაც გთხოვე, ის გადაეცი. ახლა ელაპარაკე მანანას.

„ო" – კარგი, გიორგი.

„ქ" – ეხლავე დაუძახებ.

„ო" – ცოტნე, როგორა ხარ?

„ქ" – (ცოტნე) თქვენ როგორა ხართ?

„ო" – ჩვენ კარგად ვართ.

„ქ" – დაგინახეთ.

„ო" – ვერ გავიგე.

„ქ" – შენი სახე ტელევიზორში ვნახე.

„ო" – რა ტელევიზორში აჩვენეს?

„ქ" – გვაჩვენეს, თანაც ორჯერ.

„ო" – სად რო იყო?

„ქ" – ... (არ ისმის)...

„ო" – ზუგდიდში.

„ქ" – როგორა ხართ ახლა თქვენ?

„ო" – კარგად, ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი კარგად იქნება, მგონი, ყველაფერი კარგად მიდის.

„ქ" – (მანანა) გამარჯობა.

„ო" – გამარჯობათ, ქალბატონო.

„ქ" – რად დაგვეკარგეთ? რომ მოგვატყუეთ გუშინ, 10 საათამდე გიკავშირდებოდით და არავინ გამოდიოდა ხაზზე.

„ო" – გასული ვიყავით, მახსოვდა ყველაფერი, ვერ დაუბრუნდით იმ დროზე, რომ გამოვსულიყავით.

„ქ" – რა მდგომარეობაა?

„ო" – ყველაფერი კარგად არის, წალენჯიხაში ჩატარდა მიტინგი, ძალიან უამრავი ხალხი იყო.

„ქ" – წალენჯიხის და ზუგდიდის ვიცი, კიდევ სად ჩაატარეთ?

„ო" – კიდევ არსად ჯერჯერობით, ვაპირებთ

„ქ" – აფხაზეთში რა ამბებია?

„ო" – ძალიან ცუდი ამბებია, სადგური აიღეს, თავიანთი დროშა ჩამოჰკიდეს აფხაზებმა, ხალხს სასტიკად აწამებენ, ვისაც დაიჭერენ, ბავშვს, ქალს, მოხუცს, ყველას. ძალიან ცუდი ამბებია. გუშინ გადმოსცა მოსკოვის ტელევიზიამ, რომ შევარდნაძე ალყაშიაო.

„ქ" – ეს ვიცი ყველაფერი, ეს გაითამაშა ყველაფერი შევარდნაძემ, იმიტომ რომ დაუმტკიცოს, რომ მე ხალხთან ვარო, ამას ვერ ხედება ხალხი.

„ო" – სოხუმს ბოლომდე უნდა უშველოთო თავის ხალხთან ერთადო.

„ქ" – ჰკითხე შევარდნაძე ლურჯ კოსტუმშია გამოწყობილიო, ხელში რა უჭირავს-თქო, დადის ოთახიდან ოთახშიო. შევარდნაძე არ იბრძვისთქო, შევარდნაძემ იმუშაოს რუსის ჯარით ქართველებზე-თქო.

„ო" – ჰო გასაგებია, საქმე ისეა, მარა მაინც ლაპარაკობენ.

„ქ" – მე რა... დატოვონ ისე, ჩაუგდონ. ის შევარდნაძე, თუ ძალიან უნდათ, მაგრამ არძინბა და შევარდნაძე რომ შეთანხმებულები არიან, ეგ არ იციან ქართველებმა.

„ო" – ჰო, რა ვიცი, ვერ გაიგეს, ალბათ, ჯერჯერობით, მაგრამ რომ გაიგებენ, მერე გვიან იქნება.

„ქ" – თუ ვერ გაიგეს, ახია მაგათზე ყველაფერი. რას შერებით კიდევ, რა ამბებია, ნორმალური სიტუაციაა?

„ო" – კი, ყველაფერი ამოქმედდა, ყველაფერი მუშაობს მილიციიდან დაწყებული, საწარმოებიც ამუშავდება, მალე ყველაფერი კარგად იქნება.

„ქ" – პირველს ჰკითხე, ფეხი რომ სტკივა იმ კაცს, რომ შეამოწმოს, ზურა მამიას ძე ჭანტურია, დაიმახსოვრე.

„ო" – გასაგებია.

„ქ" – იმას ფული წამოუღია, ერთი ჩვენი ნაცნობისაგან, და იმას აინტერესებს, მოიტანა თუ არა ადგილზე.

„ო" – ესე იგი, ვის უნდა მიეტანა, ვერ გავიგე.

„ქ" – წასვლის წინ რომ ნახა კაცი, იმისაგან აუღია ფული და იმ კაცს აინტერესებს, მიიღეს თუ არა ადგილზე, ქობალიამ ან ვინმემ

„ო" – გასაგებია...

„ქ" – იმიტომ, რომ აინტერესებს, ეს პიროვნება მაგასთან მოდის თუ სხვისგან მოდის და...

„ო" – გასაგებია.

„ქ" – გიორგის ელაპარაკე.

„ო" – კარგად.

„ქ" – (გიორგი) ბადრი, რაც გთხოვე, იმაზე მომიტანე სასწრაფოდ პასუხი. როგორ გაიგე?

„ო" – გასაგებია, ჭანტურია, ხო?

„ქ" – (მანანა) ზურა მამიას ძე ჭანტურია, კაცო. ჭანტურიას გვარს რაღა დაგავიწყებს, იმ გათახსირებულის გვარს. ბადრი, მისმინე, მოსკოვში სასწრაფოდ დაუკავშირდი თენგიზ ჩაჩავას, ჩაიწერე, ის ვერ უკავშირდება მაგას ზუგდიდში, ინფორმაცია აქვს სასწრაფო გადმოსაცემი.

„ო" – გასაგებია.

„ქ" – (გიორგი) ჩემმა ძმამ რომ გადმოგცა, ხვალვე მოიტანე პასუხიო.

„ო" – გასაგებია.

„ქ" – ჩვენი ბაშური, საბუდარელი ჭაბუკი როგორ არის?

„ო" – მაგრად.

„ქ" – მად არის ეხლა?

„ო" – გამოვიყვან, არ სცალოდა.

„ქ" – გამოიყვანე და იმაზეც პასუხი მოიტანე.

„ო" – გასაგებია, ხვალ 12 საათზე.

„ქ" – ამ საღამოზე არ გვექნება კავშირი, მისვლისთანავე ეს ამბავი გაიგე და ხვალ მოიტანე პასუხი.

„ო" – კარგი გავიგე. გიორგი, მისმინე ერთ წუთს, ვისგან წამოიღო ვერ გავიგე.

„ქ" – ეგ ინფორმაცია?

„ო" – არა, ვისგან წამოიღო ფული.

„ქ" – ბოლო დღეს კაცი რომ ჩამოვიდა, იქედან. თეთრ წვერიანი და თეთრ კოსტუმიანი, აი იმისგან.

„ო" – გასაგებია.

„ქ" – (მანანა) აბა თუ არ გაიგე, რატომ კიდებდი, ისეთი საჭირო ინფორმაცია თუ ვერ გაიგე, მაშინვე უნდა თქვა.

„ო" – გასაგებია.

„ქ" – იმისგან წამოიღო ზურაბ მამიას ძე ჭანტურიამ ფული და უნდა მიეტანა მას ქობალიასათვის. მიიტანა თუ არა?

„ო" – გასაგებია, ხვალ ყველაფერს მოგახსენებთ.

„ქ" – დასვით მორიგე, იქნებ რამე ინფორმაცია იყოს 9-10 საათამდე.

„ო" – აქაური დრო, ხომ?

„ქ" – ერთი დროა, თქვენ ჭურში ხართ, გძინავთ?

„ო" – გასაგებია.

„ქ" – ხვალვე მომიტანე მაგაზე პასუხი და ხევსური მომიყვანე. პასუხი მომიტანე პირველისაგან.

„ო" – კარგად.

სრ სსს რტბ

# კომისია აგრძელებს მუშაობას

საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ გაიმართა პარლამენტის სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირთა ანტიკონსტიტუციური ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ოსაძის პრეს-კონფერენცია. მოსაძემ დამსწრე ჟურნალისტებს მოუთხრო კომისიის შექმნის პრეისტორია. მისი თქმით, კომისიაში დღემდე მოდიან მოქალაქეები, რომელთაც სერიოზული ინფორმაციები მოაქვთ უშიშროების ყოფილი მინისტრის შ.კვირაიას მხილების შესახებ. კომისიის თავ-რემ ჟურნალისტებს გააცნო ერთ-ერთი ეპიზოდი, რომლის თანახმადაც, შ.კვირაია 1993 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილის საქართველოდან გასვლის წინააღმდეგი იყო.

რაც შეეხება უშიშროების ყოფილი მინისტრის ბრალდებას მ.ოსაძის წინააღმდეგ, რომელიც რუსთაველის ოპერაციის გაცემას და 1993 წელს სენაკის ჩაბარებას ეხება, მ.ოსაძემ უარყო აღნიშნული ბრალდებები და განაცხადა, რომ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. მისივე თქმით, იგი არავის ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულა და არცერთ პოლიტიკურ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. კომისია აგრძელებს მუშაობას უშიშროების სამინისტროს საქმიანობის შესახებ. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მთავრობა აგრძელებს დაკარგული მოქალაქეების ძიებას

როგორც სააგენტო „იფრინდას" კორესპონდენტთან საუბარში კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ მამუკა არეშიძემ განაცხადა, საქართველოს ხელმძღვანელობა აგრძელებს, ჩეჩნეთთან, ინგუშეთის საზღვარზე, უგზო-უკვლოდ დაკარგული ორი ქართველი მშენებლის მოძიებას, რომლებიც გზის მშენებლობაზე მუშაობდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზ.ჟვანიამ წერილით მიმართა ინგუშეთის პრეზიდენტს რ.აუშევს და პარლამენტის თავმჯდომარეს რ.პლიევს, ასევე ჩეჩნეთის პრეზიდენტს ა.მასხადოვს და თავის კოლეგას ა.ხოჯაევს, რომელშიც იგი მათ საქართველოს მოქალაქეების მოძიების საკითხში დახმარებას თხოვს. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვედრები ჰქონდათ ჩეჩნეთის და ინგუშეთის ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

მ.არეშიძის თქმით, გამტაცებლები ჯერჯერობით კონტაქტზე არ გამოსულან. მისივე თქმით, გამორიცხული არაა, რომ საქართველოს მოქალაქეები საქართველო-ინგუშეთის შორის ურთიერთობის გამწვავების მიზნით არიან გატაცებულნი, როგორც მ.არეშიძემ აღნიშნა, არის ეჭვი იმისა, რომ ტყვეები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მისივე თქმით, თუ საკითხი დროულად არ მოგვარდა, 19-20 ივლისს მოსალოდნელია საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.



## კაგებეოკრატია

1991 წლის აპრილი. გერმანიაში საერთაშორისო კონფერენციაა რელიგია-ფილოსოფიის საკითხებზე. აქ არიან აწ განსვენებული ჩვენი მეცნიერები ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, ბატონი არჩილ ბეგიაშვილი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ ბატონები: თამაზ გამყრელიძე, ოთარ გაბიძაშვილი, თამაზ ყანდარელი. კონფერენციის ინიციატორი – ცნობილი გერმანელი თეოლოგი ადოლფ ჰამპელი (მკითხველო, მთლად წყალწაღებული რომ არ ვარ, ცოტას თავს მოგაწონებთ. ბატონმა ადოლფმა 1987 წელს გერმანულ თეოლოგიურ ჟურნალში თარგმნა და დაბეჭდა ჩემი ნაშრომი („ბერი ზოსიმა და მამა სერგი")... კონფერენცია არ იყო ხალხმრავალი და მართლა აკადემიურად

დასაწყ. „საქართველო" №68.

# მე და კგბ

## ვახტანგ გოგუაძე

და საინტერესოდ ჩატარდა. ბატონმა ჰამპელმა და ყანდარელმა მითხრეს, – ჩეხ მეცნიერს, ჰაველის უახლოეს თანამებრძოლსა და ყოფილ დისიდენტს (რომელიც კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა), სურს შენთან შეხვედრაო. შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო ძალზე გონებამახვილი ჩეხი ებრაელი, ნორმალურად ლაპარაკობდა რუსულად. საუბარში ვახსენე სიტყვა „კაგებეოკრატია". უეცარი ინტერესით მეკითხება, რა არის „კაგებეოკრატია". – წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ორი კაცი დგას, საუბრობენ. ხმა არ გვესმის. გვეუბნებიან, – ერთი მათგანი არის ცეკას მდივანი, მეორე – რაიკომის მდივანი. მათი ჟესტიკულაციით, გარეგნული ნიშნებით თუ მიხვდებით, რომელია თანამდებობით უფროსი? – აჰა, უმცროსი უფრო ბეჩავი მიხვრა-მოხვრით, არა? – დიახ. პარტოკრატიაში ღია იერარქიაა. კაგებეს ურთიერთობის ფორმა დაახლოებით ასე წარმოვიდგინოთ: მე გლანძღავთ თქვენ, მაგრამ თქვენ სინამდვილეში ჩემი უფროსი ხართ, თქვენთან ვთანამშრომლობ. ამიტომ კრემლის ლანძღვა სულ არ ნიშნავს, კრემლს არ თანამშრომლობდეს მისი მლანძღველი აგენტები. სიცოცხლეში არ დამავიწყდება: ამ კაცმა ორივე ხელი ორივე საფეთქელში წაიშინა. რაღაცა ძალიან მძაფრი რამ გაახსენდა, რაღაცის გასაღები იპოვა თითქოს. იგი ათი წელი ჰაველთან ერთად იჯდა ციხეში პოლიტიკურზე. მათ ბევრნაირ და იმნაირ დისიდენტთან ჰქონდათ საქმე. სხვათაშორის, ჩეხიაში მწვავედ დადგა ლუსტრაციის კანონის საკითხი – ემხილებინათ აგენტები.

ეს ამბავი ვუამბე გია ჭანტურიას. ძალიან მოეწონა და კინოს სახლის წინ გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე დაიმოწმა: „როგორც ბატონი ვახტანგ გოგუაძე ამბობს, – ამგვარ ურთიერთობებს ჰქვია კაგებეოკრატია".

* * *

1991 წლის 27 მარტი. ზვიადისაგან შეურაცხყოფილი ჩვენი „წითელი ინტელიგენცია", „კორუმპირებული ინტელიგენცია", ანტიზვიადისტური ეროვნული მოძრაობა ითხოვს ჯაბა იოსელიანის გათავისუფლებას. ხმა გამოვიდა, კგბ-ს იზოლატორში მჯდომ ჯაბას ჯანმრთე-

გაგრძელება მე-4 გვ.

# რჩევა დამწყებ ბანდიტებს

უჩემოდაც მიხვედრილები იქნებით, რა გზაც უნდა აირჩიოთ, რათა მოღვაწეობა გაგიადვილდეთ, მაგრამ ეს უეცარი აღმოჩენა, რამაც თქვენს მონამორჩილს გონება გაუნათა, მაინც მინდა გაგიზიაროთ და ამით ჩემი წვლილიც შევიტანო ჩვენი ქვეყნის ცივილიზებული გზით განვითარებასა და აყვავებაში.

მე რა, ერთი მემაუდე კაცი ვარ, ჩემი ხელობით თავი ვერ გამაქვს და ალბათ, სადმე ხიდის ქვეშ ამომხდება სული, მაგრამ თან როგორ წავიღო ჩემი ეს რჩევა. ბოლოს და ბოლოს, თქვენს მიხვედრას რომ სხვაც დაგიდასტურებთ, ეს კიდევ უფრო არ შეგასხამთ ფრთებს?

არ იფიქროთ, თავს იმიტომ გაბრალებდეთ, რომ წილსა გთხოვდეთ, თუნდაც მცირეზე მცირეს, რათა ირწმუნოთ ჩემი სრული უანგარობა, გაგეცნობით, როგორც... უცნობი მეგობარი და ასე შორიდან ვადევნებ თვალს თქვენს მოღვაწეობასა და წარმატებებს.

იქნებ გაიკვირვოთ კიდეც, აბა, რა რჯის, მეტად ძვირფას რჩევას ასე დაუნანებლად რატომ გვჩუქნისო.

აკი მოგახსენეთ, ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ვირჯები და ვილწვი. თან პირადული მიზეზიც მაქვს, ჩემი უმძიმესი შეცდომის გამოსწორება მინდა და, იმედი მაქვს, ჩემი გულწრფელი მონანიებით სინდისიც დამიმშვიდდება და ქვეყნის წინაშეც პირნათელი ვიქნები.

ასე საჯაროდ გახსენება არც მინდა ჩემი იმ უმძიმესი შეცდომისა, მაგრამ რაკილა დავიწყე, დავამთავრო კიდეც.

თქვენს ყურამდეც უთუოდ მოაღწევდა, რომ ორი ყმაწვილი, მაგრამ უკვე გამობრძმედილი პარლამენტარი, რომელთა სახელებიც და თანამდებობაც მხოლოდ მოწიწებით უნდა წარმოითქვას: გიორგი ბარამიძე (ანტიკორუფციული საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე) და მიხეილ მაჭავარიანი (მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი) – ბანდიტური ჯგუფის მფარველობისა და ხელშეწყობისათვის „ნაძირლებად" და კიდევ უარესებადაც რომ მოიხსენიეს.

ჩემი უმძიმესი შეცდომაც ის არის, რომ, გამოუცდელობისა და საქმეში ჩაუხედაობის გამო, მეც ვიზიარებდი მათი პიროვნების ასეთ შეფასებას. მართალია, მხოლოდ გულისგულში, მაგრამ სინდისი მაინც არ მასვენებს.

ახ, ნეტა შეიძლებოდეს ფიქრისთვისაც კი ადამიანის დასჯა. ჩემი ფეხით მივიდოდი და ჩავბარდებოდი პოლიციას, რათა ტანჯვა-გვემით გამომესყიდა მორალური დანაშაული, იქ დამეგმო ჩემი თავი ისეთი უმწიფარი, შეუგნებელი აზრებისათვის, რომ ეს ყოვლად უწყინარი, საალერსო ცნებები „ბანდიტიზმი" და „მაფია" შიშისმომგვრელი და ქვეყნისათვის საზიანო მეჩვენებოდა.

გულს ის მიკეთებს, რომ თუმც გვიან, მაინც ჩემით ვიპოვნე ჭეშმარიტება.

ბანდიტების მფარველობაში რაიმე რომ იყოს საძრახისი, ეს ორი სათნოებით აღსავსე ყმაწვილი რატომ გამოიდებდა თავს მათთვის გზის გასაკაფად და მთელი ქვეყნის თვალწინ მიზანმიმართულად რატომ შეეცდებოდა ყოველნაირი გზის გამონახვას მათი მოღვაწეობის გასაგრძელებლად.

ეს ისედაც ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ცისფერ ეკრანსა თუ ფოტოსურათებზე დაკვირვებია მათ თვალთაგან გადმომჩქეფარ სიანკარესა და კდემას, მაგრამ თუ მაინც დარჩა ვინმე ურწმუნო, მის დასაჯერებლად სხვა მტკიცე საბუთიც გვიპყრია ხელთ.

სათნოებით აღსავსე ეს ყმაწვილები მარტო თავიანთი სახელით კი არ იცავენ თუნდ ფირმა „ელიზის" მიერ შექმნილ ბანდიტურ ჯგუფს, არამედ მოქალაქეთა კავშირის, ჩვენი ქვეყნის მმართველი პარტიის სახელით. პარტიისაგან რომ საამისო ნებართვა და რწმუნება არ გააჩნდეთ, განა ასეთ რაიმეს გაბედავდნენ? ანდა განა მოქალაქეთა კავშირი პროტესტს არ განაცხადებდა?

დარწმუნებული ვარ, ამ არგუმენტის შემდეგ ველარავინ გაბედავს ეჭვის გამოთქმას.

მმართველთა პარტიამ, რომელიც ორიოდე წელიწადში აყვავებასა და ცივილიზებულ ქვეყნად გადაქცევას გვპირდება, ჩვენზე უკეთ იცის, რა როგორ სჯობს ქვეყნისათვის. ამიტომ მოვალენი ვართ ვენდოთ მის სიბრძნესა და გამჭრიახობას და ბანდიტურ დაჯგუფებათა მფარველობაც სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელ ნაწილად ვაღიაროთ.

ამიტომ გირჩევთ, დროზე მიაკითხოთ ამ ორ კეთილშობილ ახალგაზრდას და ნურაფერს ნულარ ინაღვლებთ. ის კი არა, თქვენს მიერ ჩატარებული აქციების შემდეგ გამოცხადდებით ბიზნესმენებად და ეკონომიკის აღორძინებაზე თავგადაკლულებად. თუ ფეხი დაგიცდათ, ეგეც არაფერი, ორიოდე დღე კი უნდა გაძლოთ ციხის საავადმყოფოში. ეს ყმაწვილები ჟურნალისტებისა და ადვოკატების მთელს არმიას აამოქმედებენ, რათა ცივი ნიავი არ მოგაკარონ. მათ ჰყავთ კარგად შეკრული, ორგანიზებული გუნდი, რომელთაც აერთიანებთ უმწიკვლო პატიოსნება და სამშობლოსათვის თავდადების უანგარო წყურვილი. ჯერ მარტო მშვენიერი ელენესა და ესენგოსა ღარიბაშვილის დასახელებაც კმარა, რათა სრული წარმოდგენა შეექმნას ყველას ამ გუნდის ღირსებასა და ძალაზე.

ამიტომ თამამად, თამამად ჩემო ძვირფასო დამწყებებო და სამოთხის კარი შეუღეთ ჩვენს უბედურ ქვეყანას, რომელიც თქვენს დაუხმარებლად ალბათ კიდევ დიდხანს იჩინდრიკებს ოღრო-ჩოღრო გზებით.

შევეცდები, რჩევა-დარიგებანი არც სხვა დროს მოგაკლოთ, მაგრამ ეს რომ ვერც შევძლო გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო, ეს ერთი რჩევაც ისეთი ფასდაუდებელია, თავს უკვე ვალმოხდილად ვგრძნობ ჩემი ქვეყნის წინაშე.

თქვენი უცნობი მეგობარი
კ.ლ.

# ოღონდ ქართულად დაგვაჯარიმეთ

ამას წინათ, გორი-თბილისის ტრასაზე, წეროვანთან, სატრანსპორტო პოლიციამ მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაგვაჯარიმა 6 ლარით და იმდენად სასიამოვნო სიურპრიზი გაგვიკეთა, დაჯარიმებამ სიხარულიც კი მოგვანიჭა. ჯარიმის გადახდისთანავე მოგვართვეს ქვითარი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ჩვენი საცოდავი 6 ლარი მათ ჯიბეში კი არა, სახელმწიფო ბიუჯეტში წავიდოდა. აი, ამ არცთუ გავრცელებულმა მოვლენამ გამოიწვია ჩვენი სიხარული და სიამოვნებითაც კი შეველიეთ თანხას, რაკილა ჩვენი უსაქციელობით ჩვენ კი ვიზარალეთ, მაგრამ სახელმწიფოს მცირეოდენი ვარგეთ.

მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ქვითარს ეწერა: **Министерство внутренных дел СССР.**

რას ნიშნავს ეს? ჩვენი საწყალი 6 ლარი იმ მინისტერსტვაში მიდის თუ „საქართველოს მინისტერსტვიანი" ბლანკის დაბეჭდვა გაჭირდა? ან იქნებ ძველი ქვითრები აქვთ გადანახული ძველ ოფიცრებს და ძველებურად, – ქვითარი თვალის ასახვევად გვეძლევა, ფული კი ჯიბეში მიჩხრიალებს. ვინ აგვიხსნის ამას?

**ნინო დალაქიშვილი**
„საქართველოს" გორის ბიურო



## რა ხდება კოდორში

### სეპარატისტებს მხარი დაუჭირეს რუსებმა

სააგენტოს კორესპონდენტი სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით იტყობინება გუშინ დილით კოდორის ხეობაში მომხდარი შეტაკების დაწვრილებით შედეგებს.

აფხაზ სეპარატისტთა სადაზვერვო ჯგუფს, რომელმაც მი-8 ტიპის ვერტმფრენით მარუხის უღელტეხილზე გადაკვეთა აკრძალული ზონა, გზა გადაუკეტა ქართულმა მხარემ. სეპარატისტებს მხარი დაუჭირეს რუსებმა, რომლებიც ქართულმა მხარემ უკუაქცია. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, რუსულმა მხარემ დამატებითააფრინა რამდენიმე ვერტმფრენი, რომლითაც ისინი ქართველი მებრძოლების განადგურებას ცდილობდნენ. წყარო ასევე იტყობინება, რომ ქართულმა მხარემ უკუაქცია მოწინააღმდეგე. ჩვენი მხრიდან დანაკარგები არ არის, დაჭრილია მხოლოდ ერთი. (იფრინდა)

### კოდორის ხეობაში მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით

როგორც სააგენტოს კორესპონდენტი ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე რამდენიმე საათით ადრე გამოფრინდა მადრიდიდან თბილისს და თბილისის აეროპორტში ადგილობრივი დროით 21.30 სთ-ზე ჩამოფრინდა. დამკვირვებლები პრეზიდენტის ესპანეთის ვიზიტის პროგრამის შეკვეცას უკავშირებენ კოდორის ხეობაში საზღვრისპირა ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობის გამძაფრებას. თავდაცვის სამინისტროდან სააგენტოს კორესპონდენტის მონაცემებით, დასახლებული პუნქტის ლატას მახლობლად. საზღვრისპირა ზოლში შეინიშნება აფხაზ სეპარატისტთა ძალების კონცენტრაცია, დაახლოებით 150 ადამიანი და 30-მდე ერთეული მძიმე ტექნიკა. სულ სეპარატისტთა დაჯგუფებების რაოდენობა 600 ადამიანამდე ცოცხალ ძალას ითვლის, რომელშიც ირიცხება რამოდენიმე ათეული მძიმე არტილერია და 120 მმ-იანი ნაღმტყორცნები. სააგენტოს კორესპონდენტის მონაცემებით, აფხაზმა სეპარატისტებმა დაიწყეს სოხუმიდან და ტყვარჩელიდან ჭუბერის უღელტეხილის რაიონში თავიანთი ქვედანაყოფების გადმოსროლა, რაც მიზნად ისახავს კოდორის ხეობის მოწყვეტას საქართველოსგან. (იფრინდა)

* * *

კოდორის ხეობაში, მარუხის უღელტეხილის მიდამოებში დღეს დილით აფხაზურ და ქართულ მხარეებს შორის მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით, სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის პრეს-სამსახური იტყობინება, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე „აჟარის" კომენდატურის მოქმედების უბანზე მდგომარეობა სტაბილურია, ვითარება კონტროლს ექვემდებარება. (იფრინდა)

# მე და კგბ

## ვახტანგ გოგუაძე

მესამე გვერდიდან

ლობის საფრთხე ემუქრებაო. წარგვზავნეს დელეგატები: ირაკლი ბათიაშვილი, ვალერი ვაშაკიძე, განსვენებული ნუკრი ცისკაძე, თემურ კვირკველია. სულ ვიყავით ცხრა კაცი. თუ არ მეშლება თემურ ხაჩიშვილიც. პირველად შევდგი ფეხი საშიშროების სახლში. არ მითხრათ, არ მეშინოდა კგბ-სიო. (რატომღაც არ ეწერა - „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო"). კომიტეტის თავმჯდომარე ბატონმა ოთარ ხატიაშვილმა ღირსეულად მიგვიღო. სიმშვიდეს ძალიან არღვევდა თემურ კვირკველია. იგი კგბ-ს კედლებისათვის, ალბათ, უჩვეულო სიმაღლის ხმით ლაპარაკობდა. საჩვენებელ თითს ბატონი ოთარის შუბლს უმიზნებდა, უტრიალებდა სიტყვებით: „ბატონი ჯაბას სიცოცხლეს რომ საფრთხე შეექმნას, გაგიხვრეტავთ შუბლს, გაგიხვრეტავთ შუბლს". არ ვიცი, სხვებს კარგად ახსოვთ თუ არა, მე კარგად მახსოვს, რაცა ვთქვი: ბატონო ოთარ, თქვენი უფროსი ხომ არის გამსახურდია? - რა თქმა უნდა. - კრიუჩკოვიც ხომ თქვენი უფროსია? - რა თქმა უნდა".

- ბატონო ოთარ, დღეს არის 1991 წლის 27 მარტი. თქვენ ხომ იცით, რომ 1992 წლის 27 მარტს ზვიად გამსახურდია არ იქნება საქართველოში... ეტყობა იგი კიდეც გვისმენდა და პარალელურად ფიქრშიც იყო ჩართული; ზრდილობის თავის დაქნევა ინერციით წასცდა, მაგრამ იგრძნო, რომ უადგილო დასტურს მაძლევდა და დაგვიანებით მაინც დაამუხრუჭა თავის დაქნევა... - ამიტომ, ბატონო ოთარ, ისეთი რამე არ გააკეთოთ, ჩვენ რომ მერე თვალებში ერთმანეთს ვერ შევხედოთ... რამდენადაც მახსოვს, ის მართლაც წესიერად მოიქცა.

საიდან ვიცოდი 1991 წლის 27 მარტს, რომ 1992 წლის 27 მარტს ზვიად გამსახურდია საქართველოში არ იქნებოდა? იქნებ იყო რაღაც საიდუმლო წყაროები, რომლებიც მე მკარნახობდნენ ინფორმაციას. ისე როგორც 9-10 აპრილს უნივერსიტეტის ვესტიბიულში მოფუსფუსე ხალხში ზოგნი რომ ჭორაობდნენ, - საიდან იცოდა გოგუაძემ თუ არა შევარდნაძისაგან, მოსკოვისაგან, რომ ეს ტრაგედია მოხდებოდა, რომ გაიძახოდა, უბედურება მოხდება, უბედურება მოხდებაო. ამ ჭორკითხვებზე მე თავის დროზე ინტერვიუში ვუპასუხე: მე ისეთი წინასწარმეტყველი ვარ, რომ თუ კურდღელს ტანკი გადაუვლის, შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ კურდღელი არ ჩავარდება კარგ დღეში-თქო.

რა წინასწარმეტყველება სჭირდება იმას, ეროვნული ლოზუნგების ქვეშ ალგზნებული ანტიეროვნული უგნურება რომ დაისჯება. ზვიადი იმ დიდი ქარტეხილის ტალღაზე, ქარიშხლის გრიგალში მოვიდა, როცა გონიერი განსჯისათვის დრო და ადგილი აღარ რჩებოდა. ეს იყო სტიქია, ასე ტრაგიკულად რომ გადაიგრიალა ჩვენს თავზე. ღმერთი, რჯული, ვიდრე ზვიადი დევნილი იყო, გვერდით დავუდექი, როცა მდევარი გახდა, გვერდიდან გავუდექი. და მაინც დრო ბევრ კეთილს მოსაგონარს აღადგენს. პრორექტორობიდან გაათავისუფლეს ერთი პროფესორი, რომლის გვარი ჩემსას ჩამოჰგავს. ზვიადს გაუგია, გოგუაძე გაათავისუფლესო. აქოშინებული მოვარდა უნივერსიტეტში. პირველი კორპუსის შესასვლელშივე ნაცნობ-უცნობებს გაუზიარა ხმამაღალი აღშფოთება: „მე მაგ „კგბეშნიკებს" ვუჩვენებ სეირს, - ერთი მორწმუნე კაცი ჰყავდათ აქა და ეგეც მოაშორეს? მერე გაურკვევიათ, - არა, გოგუაძე არ გაუთავისუფლებიათო... ჩემთან არ შემოსულა, ისე წავიდა სახლში. ეს იყო დევნილი ზვიად გამსახურდია, რომელმაც სამი წლის შემდეგ თვითონ გამათავისუფლა პრორექტორობიდან... ეეჰ, რას იზამ, გაცილებით მეტია ჩემთვის ის სიკეთე, ჩემს დასაცავად რომ მოირბინა უნივერსიტეტში. შევუნდოთ ერთმანეთს! სხვათა შორის, დასასჯელთა „ბრწყინვალე" შვიდეულში კი შემიყვანა, მაგრამ ჩემთვის აგენტი მაინც არ დაუძახნია.



**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესცენტრის განცხადება

ამ მცირე ხნის წინ მწვანეთა პარტიის პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის შენობაში, რომლის თემა იყო ნოდარ ნათაძის განცხადება 1992-95 წლების პარლამენტის მწვანეთა ფრაქციის რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ, გამოითქვა დებულება, რომ საქართველოს შეერთება СНГ-ს წესდებასთან, ანუ საქართველოს შესვლა ამ კავშირში იყო საქართველოსათვის დადებითი მოვლენა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში საეჭვო იქნებოდა საქართველოს მიერ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და, შესაძლოა, ფიზიკური გადარჩენაც კი. ამასთან, ამ დებულების გამოთქმისას ავტორებმა შესაძლებლად ცნეს პირწმინდად უგულებელეყოთ ის ფაქტი, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლებიც СНГ-ს არ შეერთებიან, დღეს ყოფილ სსრკ რესპუბლიკებს შორის ყველაზე კარგი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, რომ СНГ-ში საქართველოს შესვლიდან გასული ოთხი წლის მანძილზე ამ ორგანიზაციას და მის შეიარაღებულ ძალებს საქართველოსთვის დადებითი არაფერი გაუკეთებიათ, არამედ მხოლოდ მისი ტერიტორიული დანაწევრებისათვის და სეპარატისტთა გამაგრებისათვის იღწვიან, საქართველოში ეკონომიკური ნგრევის ორგანიზაციისა და კორუფციის მაქსიმალური სტიმულირების პოლიტიკას ატარებენ და რომ დღის უშუალო წესრიგშია დამდგარი ამიერკავკასიისა და ჩრდ.კავკასიის პირდაპირი ჩართვა მსოფლიოს ეკონომიკურსა და გეოპოლიტიკურ სისტემაში, ორივე მხარისდა სასარგებლოდ, რასაც ვერც ლოგიკურად და ვერც პრაქტიკულად ვერ ეგუება საქართველოს ყოფნა დაშლის გზაზე დამდგარი კოსმეტიკურად მოდერნიზებული რუსული ზესახელმწიფოს სტრატეგიულ სფეროში.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესცენტრს რწმუნება აქვს განაცხადოს შემდეგი:

მიაჩნია რა, რომ ზემოხსენებული განცხადება არის მხოლოდ სიმულაცია ილუზიისა, თითქოს СНГ-ში შესვლა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან შეთავსებადი ნაბიჯი ყოფილიყოს, და რომ ამ სიმულაციის მიზანია პასუხისმგებლობას გადაარჩინონ 1992-95 წლების პარლამენტის ის დეპუტატები, რომლებმაც ხმა მისცეს საქართველოს შეერთებას СНГ-ს წესდებასთან, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია საჭიროდ რაცხს, კიდევ ერთხელ მკაფიოდ გაუცნობიეროს საზოგადოებრიობას, რომ - საქართველოს ერთადერთი მართებული ისტორიული გზა არის დემოკრატიულ დასავლეთთან მაქსიმალური პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დაახლოების, აღმოსავლეთის ქვეყნებთან მაქსიმალური მეგობრული თანამშრომლობის, რუსეთთან სრულფასოვანი კეთილმეზობლური და თანასწორი ურთიერთობების განვითარების გზა, ამავე დროს - კავკასიის ხალხებთან უმჭიდროესი მოკავშირეობის ისტორიულ პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკის გზაა. რუსეთთან „სტრატეგიული მოკავშირეობის" გზა სხვაგვარად, თუ არ მთელი ევროპისა და აზიის მთელი დასავლეთი ნაწილის ქვეყნების სრული მოცვით მოკავშირეობის ამ სისტემის მიერ, საქართველოსთვის მიუღებელია, ვინაიდან ეს პრაქტიკულად გამოიწვევს რუსეთის შეუწყვეტელ მცდელობას, საქართველოზე და საქართველოში დომინაცია აღადგინოს.

**საქართველოს გაერთიანებული რესპ.პარტიის პრესცენტრი**

### კოდორის ხეობაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს

8 ივლისს დილით აფხაზურმა მხარემ 20 შეიარაღებული მედესანტე გადასვა კოდორის ხეობაში.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ერთ-ერთი ძალისმიერი უწყების წარმომადგენელმა აცნობა, დესანტის გადმოსხმის ადგილზე ამ წუთისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, რომელშიც ქართველი მესაზღვრეები და შეიარაღებული მოსახლეობა მონაწილეობს.

წყაროს მონაცემებით, ამ დროისთვის დაჭრილია ერთი ქართველი მებრძოლი. სავარაუდოა, რომ დაჭრილები მოწინააღმდეგე მხარესაც არიან.

აფხაზეთის პროკურორმა ანზორ ლაცუზბაიამ კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს რეგიონში არსებული ვითარების დესტაბილიზაციისაკენ მიმართული დივერსია უწოდა, რასაც აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის მოახლოებით განმარტავს. (პრაიმ-ნიუსი)

### ცნობილი გახდა ინციდენტის დეტალები

გუშინ დილით 11 საათზე მარუხის ხეობაში (კოდორის ხეობა), რომელსაც ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებენ, ამოუცნობი ვერტმფრენიდან განხორციელდა დესანტის გადმოსხმის უშედეგო მცდელობა აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის პრეს-ცენტრიდან.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სპეც-სამსახურებში აცნობეს, ვერტმფრენი ქართველ პარტიზანებს დაედევნა და სცადა მათ კვალზე გადაესხა დესანტი.

ქართველ მესაზღვრეებთან მოკლე შეტაკების შემდეგ ვერტმფრენმა აფხაზური ფორმირებების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისაკენ აიღო გეზი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეს-ცენტრის ცნობით, შეტაკების შედეგად არიან დაჭრილები, თუმცა მათი რაოდენობის შესახებ მხოლოდ ურთიერთგამომრიცხავი ცნობები არსებობს.

სასაზღვრო ჯარების პრესცენტრის ცნობით, „ეს იყო სამშვიდობო პროცესის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია", რომელიც „ქართველმა მესაზღვრეებმა აღკვეთეს".

ბოლო ცნობის მიხედვით, მარუხის ხეობას ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებენ. (პრაიმ-ნიუსი)

### შეხვედრა არ შედგა

გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე დაგეგმილი ოთხმხრივი შეხვედრა გუშინ არ შედგა. ამის შესახებ საააგენტოს კორესპონდენტს უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ გ.ჭაყელმა აცნობა. მიზეზები მისთვის ჯერჯერობით უცნობია.

გ.ჭაყელის თქმით, 10 ივლისს დაგეგმილი იყო მისი აფხაზური მხარის წარმომადგენლებთან შეხვედრა ბაბუშერას აეროპორტიდან დაღუპულ მებრძოლთა გადმოსვენების საკითხზე. აფხაზური მხარისაგან ცნობილი გახდა, რომ შეხვედრა არ შედგებოდა.

დამოუკიდებელი ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნული შეხვედრების ჩაშლის მიზეზი, აფხაზეთის მხარეს მიმდინარე პარტიზანული ბრძოლებია. (იფრინდა)

## კვირაიამ აღიარა, რომ თავისი ხელით დახვრიტა 6 ადამიანი

შოთა კვირაიამ პარლამენტის დახურულ სხდომაზე აღიარა, რომ მან 1993 წელს ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე თავისი ხელით დახვრიტა 6 ადამიანი - თქვა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა მიხეილ ოსაძემ.

„რაც შეეხება უშიშროების ყოფილი მინისტრის შოთა კვირაიას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ეს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაში შედის და გადაწყვეტილებას ისინი მიიღებენ" - თქვა ოსაძემ.

მისი თქმით, დროებითი საპარლამენტო კომისია აგრძელებს საქართველოს უშიშროების სამინისტროს მოღვაწეობის გამოძიებას და ამჟამად მინისტრის მოადგილეების საქმითაა დაკავებული.

ოსაძის კომისიის მოხსენებაში, რომელიც პარლამენტის 26 მაისის დახურულ სხდომას წარედგინა, წამოწეული იყო ბრალდებები უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილის ავთანდილ იოსელიანის მიმართ იმაში, რომ მან იცოდა ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზატორთა ვინაობის შესახებ, მაგრამ „არ მიუღია შესაბამისი ზომები".

უშიშრ...ების მინისტრის მოადგილე... თამაზ ნინუას, რომელიც უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი იყო 1991-92 წლებში, კომისიამ ბრალი იმაში დასდო, რომ მან მაშინდელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დავალებით შეადგინა 30 კაციანი სია, რომლებიც პოლიტიკური მოსაზრებების გამო უნდა დაეპატიმრებინათ.

გარდა ამისა - ოსაძის თქმით - კომისიას გააჩნია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ უშიშროების სამინისტრო ისმენდა თითქმის ყველა წამყვანი გაზეთის, მათ შორის „საქართველოს", „რეზონანსის", „7 დღისა" და „ალიას" სატელეფონო საუბრებს.

გასულ შაბათს შოთა კვირაია მის მიმართ წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ გადადგა თანამდებობიდან. მის საქმეზე პროკურატურის წინასწარი დასკვნა, რომელიც ორშაბათს წარედგინა პრეზიდენტს, არ ადასტურებს კვირაიას მონაწილეობას ჟურნალისტების სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენაში. (პრაიმ-ნიუსი)

P.S. ძიება ჯერ არ დამთავრებულა, ვნახოთ ბოლოს რა დადასტურდება...

## მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისადმი

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს პრეს-ცენტრის ცნობით, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციამ და სრულიად საქართველოს პატრიოტულმა საზოგადოებამ „ცხუმ-აფხაზეთი", აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს და პარლამენტის თავ-რეს ზ.ჟვანიას. მიმართვაში ნათქვამია: „უკვე მერამდენედ, რუსეთი ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ ცდილობს აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრას". განცხადების ავტორები რწმენას გამოთქვამენ, რომ ე.შევარდნაძე და ზ.ჟვანია მხარს უჭერენ კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას. (იფრინდა)

● პასუხი ოპონენტებს

# რანი ვიქნებით?



ალექსანდრე ჭაჭია

ქართული საზოგადოება ტრადიციული საზოგადოებაა. ვიმეორებ, თვისებები, რომელიც პროტესტანტულ ინდუსტრიულ საზოგადოებას ახასიათებს, ჩვენთვის უცხოა და კატეგორიულად მიუღებელი.

საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსი ფრიდრიხ ფონ ხაიეკი სწერდა: „ლიბერალური საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელია, რომ ადამიანები ზოგიერთი ბუნებრივი ინსტინქტისაგან განთავისუფლდნენ, განსაკუთრებით სოლიდარობისა და შეცოდებისაგან". აღიარა რა, რომ ეს ბუნებრივი, თანდაყოლილი ინსტინქტებია, მან ხაზი გაუსვა თანამედროვე საზოგადოების პროექტის სიდიდეს - ადამიანის ახალ ბიოლოგიურ სახეობად გადაქცევას (ამას, სხვათა შორის, ემსახურება ამერიკული კინოპროდუქცია, თავისი სასტიკი მკვლელობით, ძალის კულტით, მარტოხელა გმირებით და ა.შ.). ის, რაზეც ოცნებობდა ფრიდრიხ ნიცშე, როცა „ზეადამიანის" სახეს ჰქმნიდა, მე-20 საუკუნის დასასრულს რეალობად ქცევას ცდილობენ. შეგვიძლია და გვინდა კი ჩვენ, ქართველებს, უარი ვთქვათ ჩვენი ერის, რელიგიის, კულტურის დამახასიათებელ ძირითად თვისებებზე და ახალ „ბიოლოგიურ სახეობად" გადავიქცეთ?

ქართველი ერის არეალზე თანამედროვე დასავლეთის იმ ცხოვრებისეული წესის გავრცელება, რომელიც ამერიკელების მიერ კულტივირებული პროტესტანტული ფასეულობების საფუძვლებზე ყალიბდება, ჩვენს ერს, როგორც ერს, გაანადგურებს. ჩვენ იძულებული ვიქნებით ან უყოყმანოდ მივიღოთ უცხო ფასეულობები და ამით როგორც ერი, თვით განადგურდეთ, ანდა საკუთარ ისტორიულ სამშობლოში დამორჩილებულ მდგომარეობაში გადავიდეთ და ფიზიკურად განადგურდეთ.

არ არსებობს თანამედროვე დასავლური საზოგადოების სოციოკულტურული ფუნქციონირების ისეთი სფერო, ცხოვრების დასავლური წესის ძირეული ფასეულობები და ფორმები, რომლებსაც ცხოვრების ტრადიციულ ქართულ წესთან, ჩვენს აზროვნებასთან, ეროვნულ მსოფლმხედველობასთან ან სოციოკულტურულ თვითმყოფადობასთან საერთო ჰქონდეს. ლიბერალური დასავლური სამყაროს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები ქართველებისათვის აბსოლუტურად უცხოა... ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ პრინციპი „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა", ვინაიდან ჩვენ ბუნებით კოლექტივისტები ვართ. ნათესაობის, მეზობლობის, ურთიერთდახმარების კულტი ჩვენთვის ყველაზე მაღლა დგას (ბოლო გაჭირვებული წლების განმავლობაში ამ კულტის არსებობამ მოსახლეობა გადაარჩინა). ჩვენ არ შეგვიძლია იდეალის სახით მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის მებრძოლი, მარტოხელა მგელი კაცის სახე მივიღოთ, ვინაიდან ეს ანგრევს ერის ერთიანობის, ერთიანი ბრძოლის, საერთო ცხოვრების მრავალსაუკუნოვან იდეას, რის გამოც ჩვენი მცირე ერი დღემდეა შენარჩუნებული. ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ პრინციპები „გავმდიდრდეთ ნებისმიერი ხერხით!" და „მდიდარი ყოველთვის მართალია", ვინაიდან სიმდიდრე არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება ქართველი ხალხის ცნობიერებაში მთავარი ფასეულობა (ზუსტად ამ პრინციპების სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანამ, რასაც ახლანდელი ხელისუფლება ცდილობს, ქართველი ერის დალუპვამდე მიგვიყვანა, ვინაიდან ქართველები არასოდეს არ ვიქნებოდით მდიდარი ხალხი. საქართველოში ამ პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში მატერიალური სიმდიდრე სხვადასხვა დიასპორის ხელში აღმოჩნდება, როგორც ეს საბჭოთა პერიოდამდე იყო კიდევაც). ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ისეთი კატეგორიების დასავლურ-პროტესტანტული გაგებაც კი, როგორიცაა მეგობრობა, კაცისადმი ერთგულება (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტისადმი განსაკუთრებული სიმპათია არ გამაჩნია, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი შევარდნაძე არასოდეს არ იტყოდა მეგობარზე, რომელიც აღარ სჭირდება, ისე, როგორც მასზე სთქვა მისმა „მეგობარმა", აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯ.შულცმა საკუთარ მემუარებში: „მე შევშფოთდი გორბაჩოვისა და შევარდნაძის უვიცობითა თუ უკოდინარობით" („ნგ"-ს ცნობით, G.Shultz, "Turmoil and Triumph"). (იმეგობრო ადამიანთან, საკუთარ ინტერესებში გამოიყენო, მერე კი შეურაცხყოფა მიაყენო - ეს ქართული ცნობიერებისათვის გაუგებარია, მაგრამ სრულიად შესაბამება რაციონალისტურ აზროვნებას). ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ოჯახის ფუნქციის, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ამერიკული გაგებაც. ჩვენი პროვინციალი პოლიტიკოსები აღფრთოვანებულნი არიან იმით, რომ ამერიკაში 13 წლის ბიჭები მანქანებს რეცხავენ, გოგონები ოფიციანტებად მუშაობენ, რომ მშობლები შვილებს არ ეხმარებიან და ამით აიძულებენ მათ დამოუკიდებლად იცხოვრონ, რომ ცოლსა და ქმარს შემოსავლის საკუთარი წყაროები აქვთ და ა.შ. დიახ, ამერიკელებს ოჯახურ ურთიერთობათა საფუძველშიც კი ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი უდევთ. კარგია ეს თუ ცუდი? მათთვის კარგიცაა და სწორიც, მაგრამ ქართველებისათვის კი ნამდვილად მიუღებელი. სწორად გამიგეთ: იმიტომ კი არა, რომ ისინი ცუდები არიან, ჩვენ კი კარგები, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ *ისინი სხვანი არიან და ჩვენ კი სხვანი.*

და ბოლოს, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ დასავლური მასობრივი კულტურა, რომელიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურულ ფასეულობებს უკვე დღეს განდევნის და სპობს. დასავლური კულტურული ექსპანსიის კიდევ რამდენიმე წელი და ქართველთა კულტურული გადაგვარების პროცესი შეუქცევადი გახდება. (დღეს გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ევროპული ხალხები - ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, ცდილობენ რა შეინარჩუნონ საკუთარი ტრადიციები და ეროვნული თვითმყოფადობა, აქტიურად, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ, ებრძვიან ამერიკული მასობრივი კულტურის გავრცელებას, ჩვენ კი „დასავლურ სამყაროსთან ერთობის" ლოზუნგით ინტენსიურად ვნერგავთ ამ დამღუპველ კულტურულ სუროგატს).

*დასავლური საზოგადოება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კერძო პირთა საზოგადოებაა. ქართული საზოგადოება კი ისტორიულად ოჯახის პრინციპით ყალიბდებოდა,* რომლის წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, და ურთიერთპასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულები არიან. ეს პრინციპული სხვაობაა, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პროექტის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.

*საქართველო განვითარების საკუთარ ისტორიულ ტრაექტორიას უნდა მიჰყვეს, საკუთარი სოციოკულტურული თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს ეროვნული სპეციფიკა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შემუშავებული ტრადიციები და ზნეობრივი ნორმები.* გადმოღება და პრაქტიკაში დანერგვა შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც ხალხის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას ხელს შეუწყობს და ამავე დროს ეროვნულ თავისებურებებს არ მოსპობს.

ჩვენს მოსახლეობას მისეული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, თემურ-კოლექტივისტური თვითშეგნებით, სოციალურ დაცვაზე ორიენტირებით, არ შეუძლია საზოგადოების ფუნქციონირების დასავლური პრინციპების შესაბამისად იცხოვროს. ეს შეიძლება „არაცივილიზებულობით", „პრიმიტიულობით", სოციალისტური „ურავნილოვკის" შედეგად ჩაითვალოს (ვის როგორ მოსწონს), მაგრამ ეს ფაქტია. პატრიარქალურ, ტრადიციულ საზოგადოებას, კულტურით, რომელიც მართლმადიდებლობისა და ნაწილობრივ ისლამის ზემოქმედებით ჩამოყალიბდა, არ ძალუძს სტიმულებისა და მოტივაციების კლასიკური დასავლური სისტემა აღიქვას, ვინაიდან ჩვენთან ისტორიულად ვერ ჩამოყალიბდა სოციალ-დარვინიზმის ტრადიციები, კონკურენციისადმი მიდრეკილება, პრაგმატიზმი როგორც ეროვნული თვისება. საერთოდ, აგრარულ ცივილიზაციას კონსერვატიზმი ახასიათებს კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განვითარებული სამყარო პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში გადასვლის პერიოდში მსოფლიო ცდილობს ტრადიციას დაუბრუნდეს, ტრადიციებს ხელოვნურად ქმნიან კიდევაც იქ, სადაც ვერ მოასწრებს მათი ჩამოყალიბება, ჩვენ კი შესაშური მონდომებით ვანგრევთ საკუთარ ტრადიციულ საზოგადოებას და მის მიერ შექმნილ ფასეულობებს.

მაშასადამე, პრინციპული განხილვისას ირკვევა, რომ არც რელიგია, *არც ეროვნული მენტალიტეტი, არც კულტურა (სწორედ ფართო გაგებით) ქართველთა და „განვითარებული დასავლეთის" ერთობის ფაქტორს არ წარმოადგენს.*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყ. „საქართველო" №66,67,68.

## საქართველო მადრიდში მეტი უფლებებით არის წარმოდგენილი

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციით ნატოს მადრიდის 9 ივლისის უმაღლესი დონის შეხვედრა ნატოს იმ ფორმატის პირველი შეხვედრაა, რომელიც პორტუგალიის ქალაქ სინტრაში გამართული ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამ ჩამოაყალიბა და რომლის მთავარი ამოცანაა პარტნიორი ქვეყნების სტატუსის გაზრდა და ალიანსის საქმიანობაში მათი მონაწილეობის დონის ამაღლება იყო. საქართველო ამ ახალი ფორმატის ალიანსის - ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს - ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, დღევანდელ სამიტზე იგი გაცილებით მეტი მორალური პასუხისმგებლობითა და უფლებებით არის წარმოდგენილი. (მოამბე-ექს-პრესი)

## „პოპულისტური განცხადებები ფორმალურ ხასიათს ატარებენ"

„თამაზ ნადარეიშვილს, გერმანე ფაცაციას, ბორის კაკუბავას და სხვებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში ძალზედ გაუჭირდებათ აფხაზეთში დაბრუნება, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ამ ბატონებს იქ აღარ მიიღებს" - განაცხადეს სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრებმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ დასახელებულ პირებს მაინცდამაინც დიდი სურვილი არა აქვთ იქ დაბრუნებისა, რადგან აფხაზეთის გარეთაც „მშვენიერად მოიწყეს ცხოვრება". საზოგადოების გამგეობის წევრმა ზ.დავითაიამ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავ-რის თ.ნადარეიშვილის განცხადებებს, რომლებიც აფხაზეთის მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნებას ეხება - პროვოკაციული უწოდა და აღნიშნა, რომ მისი და ფრაქცია „აფხაზეთი"-ს პოპულისტური განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებენ.

საზოგადოების გამგეობის წევრმა გია ჩხიკვაძემ ბ.ბერეზოვსკის საქართველოში ვიზიტს მეტად რადიკალური მნიშვნელობა მიანიჭა და აღნიშნა, რომ მომავალში სიურპრიზები მეტი იქნება. მან კომენტარებისაგან თავი შეიკავა, განაცხადა მხოლოდ, რომ საქართველოდან წელს არა მხოლოდ სამშვიდობო ძალები, არამედ, რუსული ქვედანაყოფებიც გავლენ. „ამ შემთხვევაში კი გ.ფაცაციას და მის გუნდს დიდი საშიშროება ემუქრება, რამეთუ მათ აფხაზეთის დაკარგვაში დიდი წვლილი მიუძღვით" - განაცხადა გ.ჩხიკვაძემ.

საზოგადოება ხმამაღლა აცხადებს, რომ საქართველოში ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალა მხოლოდ წმინდა ილია მართლის საზოგადოებაა. რაც შეეხება ზ.გამსახურდიას ქვრივის მ.არჩვაძე-გამსახურდიას ჰელსინკის კავშირში შესვლას, საზოგადოებამ ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ ჰელსინკის კავშირს ამ ეტაპზე მეტ-ნაკლები პრობლემები აქვს და გამსახურდიას ქვრივი შეეცდება მათ დარეგულირებას. (იფრინდა)

## «დავით გარეჯი ყველას პრობლემა და ტკივილია»

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე უკანონოდ არსებული სამხედრო-საწვრთნელი პოლიგონის ფუნქციონირების შეწყვეტისა და გადატანის თაობაზე, თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ ვაკის რაიონის სასამართლოში სარჩელი აღძრა. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრებმა გუშინ პრეს-კონფერენცია გამართეს.

საზოგადოების წევრები მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს თავდაცვის სამინისტროს უკანონო ქმედებები აღნიშნულ პოლიგონზე. აღინიშნა, რომ მიმდინარეობს სარჩელის მომზადების წინა პერიოდი, იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის განხილვა ან სასამართლო პროცესი გაჭიანურდება. საზოგადოება კვლავ აღძრავს სარჩელს და საპროტესტო აქციებს მიმართავს.

საზოგადოება მოუწოდებს ქართველ და მსოფლიო საზოგადოებრიობას, გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას, ხმა აღიმაღლონ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად. „იგი კაცობრიობის კულტურის მემკვიდრეობის ნაწილია და არავის უნდა მიეცეს მისი დანგრევის უფლება. დავით გარეჯი ყველას პრობლემა და ტკივილია“ – განაცხადა თ.ჩხეიძემ. მან ასევე მოუწოდა იუნესკო-ს და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს ჩაერიონ და ზეწოლა მოახდინონ ამ საკითხის გადაწყვეტაში საქართველოს ხელისუფლებაზე. (იფრინდა)

## საქართველოს პრეზიდენტის საიუბილეოდ ახალი დოკუმენტური ფილმი შეიქმნება

ტელე-კინო კომპანია „არუსმა“ ედუარდ შევარდნაძის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმის გადაღება დაიწყო (რეჟისორი გიორგი კაჭარავა). ტელე-კინო კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით გადაღებები ედუარდ შევარდნაძის 70 წლის იუბილესათვის უნდა დასრულდეს. მათივე თქმით, მოსალოდნელია შევარდნაძის ნაწარმოების „ჩემი არჩევანის“ ეკრანიზება. გადაღებები პრეზიდენტის მშობლიურ სოფელ მამათში უკვე მიმდინარეობს. (მოამბე-ექს-პრესი)

## იაპონიის მთავრობა ჰუმანიტარული ტვირთით მოგვამარაგებს

იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთის პირველ ნაწილი – 1500 ტ ფქვილი ბათუმის პორტში 1997 წლის 10 ივლისს ჩამოვა. იაპონიის მთავრობას მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოში მოღვაწეობის მხარდასაჭერად 3060 ტ ფქვილი აქვს გამოყოფილი, რომელიც ოქტომბრის ბოლომდე განაწილდება უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობაზე.

ანალოგიური დახმარება გაეწევა სომხეთსა და აზერბაიჯანს. მთლიანად სამივე რესპუბლიკისათვის განსაზღვრული დახმარების ოდენობა 3,7 მლნ დოლარს შეადგენს. (მოამბე-ექს-პრესი)

## მწერალთა ასოციაცია ბათუმში

*ქ. ბათუმში შეიქმნა მწერალთა ასოციაცია „ერისიონი“. მისი ძირითადი მიზანია შემოქმედებითი თავისუფლების დამკვიდრება, ნიჭიერ მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია, მწერალთა უფლებების დაცვა და სხვა. ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული არიან ჟუჟუნა ხაჯიშვილი (პრეზიდენტი), ბადრი თევზაძე, ზურაბ ფირცხალაიშვილი, ქეთევან გიორგაძე, ევგენი თავდგირიძე.*

# ჯარისკაც ვოვა პატაკენკოს შეიარაღებული „ოდისეა“

ვოვა პატაკენკო. ბათუმში „ბარცხანის“ ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილის დაქირავებული ჯარისკაცია, 25 წლის. დაახლოებით ღამის 3 სთ-ზე გავიდა ნაწილიდან ნასვამ მდგომარეობაში და დატოვა წერილი (რომელიც ახლა სამხედრო პროკურატურის საქმეში ინახება) დაახლოებით შემდეგი შინაარსისა: „...არ დასაჯოთ მორიგე. მოვიპარე ავტომატი ერთი მჭიდით და კიდევ 200 ვაზნა. სისხლის გათეთრება მაქვს, სულ ერთი თვე სიცოცხლე დამრჩენია...“. რამდენიმე ხნის შემდეგ მას კვალზე ორი შეიარაღებული ოფიცერი გაჰყვა და... მან ავტომატის კაკანით გაიარა რამოდენიმე კილომეტრი და გადავიდა სოფელ ფერიაში (წითელი მიწის უბანში). რამოდენიმე გასროლა მოახდინა ჰაერში, ესროლა ერთი ეზოს ჭიშკარს. ღამის მყუდროება ხმამაღალი შეძახილებითაც დაარღვია და იქვე მცხოვრებ კარლო ჩახვაძის ეზოს ჭიშკარი ხმაურით შეაღო. შემდეგ სახლის კარებს დაუწყო ბრახუნი. ოჯახის უფროსი ფეხზე წამოვარდა. მას მეუღლეც აჰყვა. კარი რომ გააღეს, „დაუპატიჟებელმა სტუმარმა“ ჰაერში ორი მიმართულებით ისროლა ავტომატიდან და ყვირილით სახლში შევარდა. „ადექით ფეხზე. მე ჩემი ხელმძღვანელობის დავალებას ვასრულებ. ჩვენი ჯარები გადიან. ნატოს ჯარები შემოდიან. პროტესტის ნიშნად ყველანი ქუჩაში უნდა გამოხვიდეთ...“ ამ დროს მათი შვილი ავთანდილიც შემოვიდა. სანამ მდგომარეობაში გაერკვეოდნენ. უთხრეს. მოვდივართ, სხვებსაც დავუძახებთო და ავტომატმომარჯვებულ. უკან-უკან მიმავალ ჯარისკაცს ეზოში გაყვნენ. ამ დროს შეამჩნიეს, ფეხსაცმელი რომ არ ეცვა და მისი დაყოლიება სცადეს – ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც შენ გინდა, ოღონდ დამშვიდდი, ჩამოუშვი იარაღი... ჩახმახშემართული იარაღი მხარზე გადაიკიდა. არაყი და სიგარეტი მოითხოვა. გამოუტანეს. ამ დროს ავთანდილმა იარაღის წართმევა გადაწყვიტა. მაგრამ მეორე ქუჩაზე ორი შეიარაღებული სამხედრო რომ შეამჩნია (ისინი მდევრები იყვნენ), იფიქრა, ესენი ბევრი არიანო და მოახერხა მეზობელთან გაპარვა პოლიციაში დასარეკად. ამ დროს რა ხდებაო და ეზოში იქვე მცხოვრები ავთანდილის ძმა შემოვარდა. ეს ვინააო და შემართული ავტომატი პირდაპირ მუცელზე მიადო. თითის გამოკვრა აკლდა რომ... რაღაც ჩაილაპარაკა და ახლა ავთანდილს გამოედევნა. მას უკვე მოესწრო პოლიციაში დარეკვა და უკან ბრუნდებოდა. შორიდან დაინახა და დაუძახა. ვერსად გამასწრებო და ავტომატის ჯერი მიუშვირა. ავთანდილი სახლს ამოეფარა. ტყვიებმა კი თავისი ცივი კვალი რკინის ღობეზე დატოვეს. გამოედევნა. ხელახლა გასროლილმა ტყვიებმა ახლა იმ სახლის ეზოში „დაიდეს ბინა“. საიდანაც ავთანდილმა პოლიციაში დარეკვა მოახერხა. იგი ამჯერადაც სახლს ამოეფარა და მეზობელ ეზოებში გადავიდა. სახლის პატრონი ჯემალ ქორიძე კარებთან იყო მოსული და კედელს ამოეფარა. ისევ გასროლა. ამჯერად ტყვიებმა კარის საყრდენი ბოძები გაგლიჯა. მეორე კარებიც გაიარა და კედლებზე ოთხი ღრმა ნაკვალევი დატოვა. ამდენივე სახლის გარე კედელზე. უბრალო დაკვირვებამ გვიჩვენა (კარებში ხან პირდაპირ გასულა, ხან გვერდულად), რომ საქმე „ცენტრდაკარგულ“ ტყვიებთან გვქონდა. ამ დროს კი სახლში 8 ადამიანი იმყოფებოდა. მათ შორის სამი მცირეწლოვანი ბავშვი. საბედნიეროდ ყველას მეორე სართულზე ეძინა. ამის შემდეგ თავდამსხმელი კიდევ ერთ სახლში შევიდა და დამალვა სცადა. აქ კი პოლიციამ და ორმა სამხედრო ოფიცერმა მოტყუებით დააკავა.

ამ მშრალი ინფორმაციის უკან კი იდგა შიში, აღშფოთება, გაკვირვება, ცრემლი და უიმედობა. ინფორმაციის მიღების პროცესში დავრწმუნდი, რომ ვიღაცას ფაქტის „მიფუჩეჩება“ სურდა (განსაკუთრებით სამხედროებს). მითხრეს, ეს ამბავი არ უნდა გამხელილიყო, შენ საიდან გაიგეო. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელისუფლებას სამხედროებისაგან მწირი ინფორმაცია მიუღია: შეიარაღებული ჯარისკაცი გაიქცა და ნახევარ საათში დავაკავეთო. ალბათ, ამის გამო იყო, რომ მათ არანაირი ღონისძიება არ გაუტარებიათ, არც ინციდენტის ადგილას მისულან, მხოლოდ სამხედროები ყოფილან. ამდენ სროლაში როგორ გადარჩითო და იქვე აკრეფილი ტყვიები წაუღიათ.

დავტოვე „წითელი მიწის უბანი“ (რუსებს წითელი ფერი ძალიან უყვართ) და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ვოვა პატაკენკოს შეიარაღებულმა „ოდისეამ“ მსხვერპლის გარეშე ჩაიარა. საკუთარ თავს კი უამრავ კითხვას ვუსვამდი: ჯარისკაცი ხომ ხელშეკრულებით მუშაობდა, 25 წლისაა. ადრე დადებითად ხასიათდებოდა, უცებ როგორ მოხდა მისი „გადარევა“, ორმა ოფიცერმა, რომელიც მას „ცხელ კვალზე“ გაჰყვა, რამოდენიმე საათის განმავლობაში როგორ ვერ შეძლო ამ „ხმაურიანი“ ჯარისკაცის ადგილსამყოფელის დადგენა, რატომ არ უნდოდათ ფაქტის გახმაურება ან კიდევ, თუ ჯარისკაცი შიზოფრენიით არის დაავადებული, როგორც ამას სამხედრო პროკურატურაში ვარაუდობენ და შემოწმებასაც უპირებენ, საიდან მოუვიდა მას თავში აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთის არმია გადის, ნატოს ჯარები შემოდიან და ხალხო, ქუჩაში გამოდითო.

**ევგენი თავდგირიძე**
**„საქართველოსათვის“**
**ბათუმიდან**

● *წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“*

# ჩეკისტური მეთოდები და პოლიტიკური სამძებრო

## ფილიპ ბობკოვი

მაშ ასე, ძირითადი ამოცანა განსაზღვრულია – პარტიული, მაშასადამე, იდეოლოგიური, პროპაგანდისტული და განმარტებითი სამუშაოები. ეს აზრი არაერთხელ არის ხაზგასმული ლენინურ დოკუმენტებში, თავიდან სრულდებოდა კიდევაც. თუმცა, სულ მალე ლენინური პრინციპები უცერემონიოდ იქნა უგულვებელყოფილი. პარტია თავით ფეხებამდე სამეურნეო საქმეებში ჩაეფლო, რითაც უღალატა თავის ერთადერთ ფუნქციას. სულ სხვა გზით წავედით...

„17. პასუხისმგებელ მუშაკებს, კომუნისტებს არა აქვთ უფლება, მიიღონ რაიმე პერსონალური საზღაური, ისევე, როგორც პრემიები და ნორმის ზევით ამა თუ იმ სახის ფასეულობა“.

რა მოხერხებულად გადაუსვეს ხაზი ლენინის ამ ანდერძს მისი მოძღვრების მიმდევრებმა, რა უსინდისოდ დასცინეს და შეაგინეს!

თავიდან *სტალინის „კონვერტები“ გამოჩნდა.* ეს ხელმძღვანელი მუშაკების პირველი პრივილეგია იყო.

სტალინის შემდეგ უნდა გენახათ, *ხრუშჩოვის მიერ სხვადასხვა რეგიონების, საწარმოების მონახულების დროს რა მდიდრული მიღებები იმართებოდა,* რა ძვირფასი საჩუქრები, „სამახსოვრო სუვენირები“ რიგდებოდა. მთელი ქვეყანა გაივსო საუნებით, „თევზსაჭერი თუ მონადირეთა სახლებით“, ე.წ. „სახელმწიფო“ აგარაკებით!

რას აღარ მოიფიქრებდნენ ხოლმე მოხერხებული ჩინოვნიკები, რათა უფროსობისათვის ესიამოვნებინათ! საკმარისია საგულდაგულოდ დაცულ ნაკრძალებში „სამეფო ნადირობები“ გავიხსენოთ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული წრის ხალხი დაიშვებოდა.

შემდეგ ეს ხალხი ტრიბუნაზე ადიოდა და ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა მტკიცედ და მედგრად იბრძოდა პარტია ლენინის გზის დასაცავად. მსგავსი სიცრუე და სიყალბე პერესტროიკამდე გრძელდებოდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დამთავრდა იმისათვის, რომ ხელახლა დაწყებულიყო. გორბაჩოვის დროს სახლები კი არა, სასახლეების მშენებლობა დაიწყეს.

ყველა ხელმძღვანელი არ ცხოვრობდა ამ პრინციპებით, გამონაკლისს მხოლოდ ა.ნ.კოსიგინი და ივ.ანდროპოვი წარმოადგენდნენ. ჩემი აზრით, ისინი იყვნენ იმ უმცირესობის წარმომადგენლები, ვისაც უნდოდა ლენინის გზისაკენ მიეტრიალებინათ ქვეყანა.

დამერწმუნეთ, ყოველივე ამას ცხელ გულზე და პოლემიკის ხასიათზე მყოფი არ ვწერ. ჩვენი ცხოვრების ანალიზი, საკმაოდ სარწმუნო ინფორმაცია, მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიფიქრო: ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელ ყველა საკითხში პარტიის ხელმძღვანელობა მხოლოდ სიტყვით ეყრდნობოდა ლენინის ანდერძს, სინამდვილეში კი სულ საწინააღმდეგო მხარეს მიჰყავდა ქვეყანა.

არა, საზოგადოების ცხოვრების ორგანიზაციის სოციალისტური პრინციპები არ ყოფილა შეცდომა. ყველაფ-

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-68.

## საქართველო – პრეზიდენტი ქვეყანაა

გუშინ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში საზეიმო ვითარებაში აღიმართა FAO-ს (აგრარული ორგანიზაციების ფონდი) დროშა, რომლის პრეზიდენტად საქართველო აირჩიეს 6 თვის ვადით.

„საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაცია FAO-ს პრეზიდენტი – ქვეყანა გახდა, რადგან მას უკეთ ესმის ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები, ასევე ქვეყნის პრეზიდენტის დიდი ავტორიტეტისა და მსოფლიოში საქართველოს მზარდი ავტორიტეტის გამო“ – თქვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალზე.

„ჩვენს სამინისტროს რამდენიმე პროექტის განხორციელება აქვს დასახული ქვეყნის სოფლის მეურნეობის საერთაშორისო დონეზე გასაყვანად“ – თქვა მინისტრმა და დაუმატა, რომ პირველი იქნება „მწვანე ბაზრის“ პროექტი, სადაც დაბალ ფასებში გაიყიდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

მინისტრის თქმით, აღნიშნული პროექტი რეგიონებთან მჭიდრო ურთიერთობებს ითვალისწინებს დღეისათვის მასში მონაწილეობენ მარნეულის, გურჯაანისა და ახალციხის რაიონები.

სამინისტროს ასევე დაგეგმილი აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადება საზღვარგარეთ. შესაბამისი შეთანხმება ინგლისთან უკვე მიღწეულია – თქვა გულუამ. (პრაიმ-ნიუსი)

## ჩვენმა ღვინომ წარმატება მოიპოვა

საქართველომ დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების „სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“, რომელზეც წარმოადგინა წითელი, ტკბილი, ნახევრადტკბილი, თეთრი და შუშხუნა ღვინოები, ქართული ბრენდის რამდენიმე სახეობა, ასევე ხილ-ბოსტნეული, დიდი ოქროს მედალი, ოქროს და ვერცხლის თასები და მსოფლიო სტანდარტის სერტიფიკატი დაიმსახურა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბგულუას თქმით, აღნიშნულ გამოფენაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის ხარჯები მთლიანად დიდმა ბრიტანეთმა გაიღო, რაშიც დიდი წვლილი დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში სტივენ ნეშს მიუძღვის.

მინისტრის თქმით, საქართველოს პროდუქციამ მოწონება დაიმსახურა, როგორც ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთამ და გემრიელმა. გამოფენაზე საქართველომ უკვე მიიღო შეკვეთები ხილზე, ბოსტნეულსა და ღვინოზე. მ.წ. მეორე ნახევრიდან საქართველო ექსპორტირებას გაუკეთებს თავის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ინგლისში. ქართულ პომიდორს ბრიტანული ავიაკომპანია „ბრიტიშ შეარვეის“-ი გადაზიდავს, ხოლო ღვინის ტრანსპორტირება ზღვის საშუალებით მოხდება. (იფრინდა)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 3 ოთახიანი თუხარელის პროექტის ბინა დიდ დიღომში III მკრ-ში V სართული, კარ-ფანჯრები არ აქვს. საწყისი ფასი 4000 $ ტელ. 95-30-47

---

სასწრაფოდ იყიდება 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი საგურამოდან 7 კმ-ის დაშორებით. ნაკრძალთან 500 მ-ის დაშორებით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 62-11-64 ლია ან რობერტი

---

იყიდება 3 ოთახიანი, არასტანდარტული, მაღალჭერიანი ბინა, ვერაზე, ლუარსაბ შარაშიძის ქ.№5 ტელ. 22-57-02

---

იყიდება ან იცვლება მაღალჭერიანი გარემონტებული ბინა. საერთო ფართი 180 კვ.მ ბინა ბელეტაჟიანია. 2 დიდი სარდაფით. 45+15 ფასი 60000$ ტელ. 39-18-97 ტელევიზიასთან ახლოს

---

იყიდება 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა თემქის IV მკრ II კორპ. IV სართ. ბინა 97. ტელეფონით, მეტრო „სარაჯიშვილთან". საწყისი ფასი 10000$ ტელ. 33-37-44

---

იყიდება 2 ოთახიანი სუფთა ბინა სარდაფით და ტელეფონით, მოსკოვის პროსპექტზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 78-23-45

---

იყიდება კერძო სახლი 2 სართულიანი, ნაძალადევის კომისარიატთან ახლოს. ხეხილიანი ეზოთი, ავეჯით. გაფორმებით. ტელ. 31-62-94 თამაზი

---

იყიდება ოთხოთახიანი, ტელეფონიანი, მაღალჭერიანი ბინა მთაწმინდაზე, ყიფიანის ქუჩაზე. ორი ოთახი გარემონტებულია. ორი გასარემონტებელი საწყისი ფასი 20000$ ტელ. 64-38-31; 63-00-78

---

იყიდება სოფელ ახატანში (საგურამოსთან) წითელი აგურის ორსართულიანი ევროპული ტიპის სახლი 9X11 ხის ვერანდებით და დამხმარე ნაგებობებით. წყალი არის. ეზოს ფართი 1200 კვ.მ ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-34-69

---

იყიდება 6 ოთახიანი ბინა საერთო ფართი 201 კვ.მ სამსართულიანის II სართულზე, შესასვლელი სადარბაზოდან და ეზოდან, ჩაშენებული კარადებით, დიდი შემინული გალერიით. ჭერის სიმაღლე 4.15. სარდაფი 20 კვ.მ კაპიტალური გარაჟი ეზოში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95-23-51

---

იყიდება 3 ოთახიანი ასაწყობი ფინური სახლი. საწყისი ფასი 3000$ ტელ. 95-30-47

---

იყიდება ორ სართულიანი სახლი დაბა სურამის ცენტრში. გარემონტებული, ავტოსადგომით, ტელეფონით, მარანით, სათავსოებით. 500 კვ.მ ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 71-28-51 რობერტი

---

იყიდება 10 მეასედი მიწის ნაკვეთი ხეხილით და მშენებარე ერთსართულიანი სახლით მცხეთის რაიონის სოფელ სასხორში. ფასი 3000 დოლარი. შეთანხმება შეიძლება. ტელ. 68-60-64 იზო ან კაკო

---

ვცვლი ერთ ოთახიან ბინას თბილისიდან ყაზანში. ტელ. 51-86-37; 67-22-94

---

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯიით 8 სართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ბინა მდებარეობს ცენტრალურ ტრასაზე. ბინა გარემონტებულია, დაყენებულია ატმორი, მუშაობს ლიფტი. ფასი 11000$ მყიდველის გაფორმებით. მის. დიღმის მასივი, 1კვ. 1ა კორპ. III სადარ. 6 სართ. ბინა 57.

## ქირავდება

ქირავდება სუფთა ოროთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, აუცილებელი ავეჯით. ვაჟა-ფშაველას III კვ. საწყისი ფასი 150 ლარი. ტელ. 23-10-63

---

ქირავდება 25 კვ.მ ფართის მაღაზია აღმაშენებლის გამზირზე. ფასი 250$ ტელ. 38-15-02

---

ქირავდება კომერციული საქმიანობისათვის ვერაზე მელიქიშვილის №23-ში პირველი სართული 2 ოთახი. ფასი 500$ ტელ. 22-52-54 ბელა

---

ქირავდება მთაწმინდაზე ყიფიანის ქუჩაზე ოროთახიანი ბინა. ფასი 120 ლარი. ტელ 64-38-31; 63-00-78

## სხვადასხვა

იყიდება მანქანური ქსოვით ნაქსოვი ხალიჩა. ფასი 200$ ტელ. 31-62-04 თამაზი

---

სასწრაფოდ იყიდება სათბური 200 კვ.მ ფასი შეთანხმებით. ტელ. 62-11-64 ლია ან რობერტი

---

იყიდება ოდნავ ნახმარი სარეცხი მანქანა „OKA-7". იატაკის საპრიალებელი მანქანა, გაზქურა ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ. 29-35-02

---

იყიდება წყლის საქაჩი ტუმბო ერთი ცალი 1/18 -ზე C. ერთი ცალი 80 ლარი. ტელ. 95-73-37

---

იყიდება ყინულის აგრეგატი „L-50" ერთი ცალი. ფასი 300 ლარი ტელ. 95-37-37

---

იყიდება ხის გასაშლელი მაგიდა 8 კაცზე, ერთი ცალი 80 ლარი. ტელ. 95-73-37; 68-23-59

---

იყიდება ხის მაგიდა 24 კაცზე ქუთაისის წარმოების 1 ცალი. ფასი 280 ლარი. ტელ. 95-73-37 (დღისით); 68-23-59 (საღამოს)

---

იყიდება ჩეხური ახალი პიანინო „პეტროფი" ფასი 1000$ ტელ. 38-15-02

---

იყიდება გერმანიაში დამზადებული ჩუქურთმებიანი პიანინო, რომელიც შეფასებულია 3000 დოლარად. ვყიდი 1200 დოლარად.

იყიდება ბრინჯაოს ანტიკვარული ლამფა. ფასი 400 დოლარი.

იყიდება ამერიკული დეკორატიული ახალი ტელეფონი, ფასი 150 დოლარი. ტელ. 60-57-56

---

იყიდება რუსეთის ორკარებიანი საკონდიტრო ღუმელი, კარგ მდგომარეობაში, თავისი ქარონებით და დამხმარე მეტალის კარადით. საწყისი ფასი 500 ლარი. ტელ. 71-08-90 მერაბი

## ავტომობილი

სასწრაფოდ იყიდება ავტომობილი „ნისან პატრული" გამოშვებული 1993 წ. ძრავი შესაკეთებელია. ფასი 10000$ ტელ. 61-55-25; 60-60-43

---

იცვლება მსუბუქი ავტომანქანა „ჰუნდაი სონატა" 1990 წლის გამოშვება კარგ მდგომარეობაში ოროთახიან იზოლირებულ ბინაზე იტალიურ ეზოში, მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ. 38-46-71

---

იცვლება „05" მარკის ავტომანქანა „ტავრიაზე" ან „ოკაზე" ტელ. 99-37-68


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89



**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**93-18-41**


# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

**ნ**

წაწიშვილი - 34 (თბილისი - 4; ყვარელი - 30);

წახნაგია - 28 (თბილისი - 6; ქუთაისი - 6; რუსთავი - 3);

წერაძე - 44 (ბაღდათი - 15; ვანი - 14; ქუთაისი - 6);

წერეთელაშვილი - 28 (კასპი - 21; თბილისი - 6; საგარეჯო - 1);

წერონელი - 35 (გორი - 16; თბილისი - 9; რუსთავი - 3);

წეწიაძე - 31 (ახმეტა - 19; თელავი - 11; რუსთავი - 1);

წველებაშვილი - 41 (თელავი - 40; ცაგერი - 1);

წვენიაშვილი - 22 (ზესტაფონი - 1; თბილისი - 21);

წვერაძე - 37 (ახმეტა - 26; თბილისი - 7; ბორჯომი - 1);

წვიმიტიძე - 21 (თბილისი - 14; ქარელი - 7);

წიბახაშვილი - 30 (გურჯაანი - 4; გარდაბანი - 2; თბილისი - 24);

წიბლიაშვილი - 45 (თბილისი - 21; თეთრიწყარო - 19; ზუგდიდი - 1);

წითელიშვილი - 43 (ზესტაფონი - 3; რუსთავი - 2; თბილისი - 1);

წითლიშვილი - 37 (თბილისი - 34; გორი - 1; ახალციხე - 1);

წითურაული - 22 (გორი - 13; თბილისი - 5; კასპი - 4);

წითური - 31 (თბილისი - 14; კასპი - 10; გარდაბანი - 1);

წითურიშვილი - 21 (თბილისი - 21);

წითურიძე - 20 (თბილისი - 9; მცხეთა - 4; ჩოხატაური - 7);

წირქვავა - 28 (აბაშა - 13; ზუგდიდი - 1; თბილისი - 14);

წიწნაძე - 30 (ქობულეთი - 12; ბათუმი - 5; ხელვაჩაური - 13);

წნორიაშვილი - 47 (გურჯაანი - 28; რუსთავი - 12; თბილისი - 5);

წოტოიძე - 22 (თბილისი - 11; ახმეტა - 3; რუსთავი - 1);

წოწელია - 22 (თბილისი - 10; სამტრედია - 6; ქუთაისი - 4);

წულიაშვილი - 43 (დუშეთი - 12; თბილისი - 31);

წულუკია - 21 (ზუგდიდი - 10; თბილისი - 8; რუსთავი - 1);

წურიაშვილი - 45 (გორი - 24; თბილისი - 10; რუსთავი - 11);

წურქავა - 25 (ბათუმი - 5; თბილისი - 5; ზუგდიდი - 1);

წყალობაძე - 26 (თბილისი - 4; თელავი - 3; ქუთაისი - 2);

წყლისაშვილი - 34 (თბილისი - 5; თიანეთი - 29).

*უცხოეთი*

# სომხები კლინტონს საპროტესტო ღია ბარათებში ჩაძირავენ

ამერიკის სომეხთა სათვისტომოს წევრები აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრის საწინააღმდეგო 50 ათას საპროტესტო ღია ბარათს გაუგზავნიან ბილ კლინტონს. ამერიკისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა 1 აგვისტოს შედგება.

როგორც პრაიმ-ნიუსს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, საპროტესტო ბარათები მოიცავენ მოთხოვნებს - „არ შეუწყოთ ხელი აზერბაიჯანის აგრესიას მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის წინააღმდეგ" და „არ შეხვდეთ აზერბაიჯანის პრეზიდენტს".

ვაშინგტონში ვიზიტის დროს ალიევი ბილ კლინტონთან შეხვედრაზე განიხილავს კასპიის ნავთობის საბადოების ათვისებისა და მთიანი ყარაბაღის პრობლემის დარეგულირების საკითხებს.

აზერბაიჯანის დელეგაცია ხელს მოაწერს რიგ შეთანხმებებს თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა და ამერიკის კომპანიებს Mobil, Chevron და Exxon შორის. (პრაიმ-ნიუსი)

# უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი სომხეთს ეწვევა

სომხეთს ეწვევა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი გენადი უდოვენკო. ვიზიტის მიზანია 22-23 ივლისს სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის უკრაინაში ვიზიტის საკითხების განხილვა.

სომხეთში ვიზიტის შემდეგ, 11 ივლისს უდოვენკო საქართველოში ჩამოვა. დამკვირვებლების აზრით უკრაინის ბოლოდროინდელი ქმედებები ადასტურებენ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში მისი მონაწილეობის გააქტიურებას. (პრაიმ-ნიუსი)

# „ლორდი" გარდაიცვალა

მექსიკაში ნარკოტიკების ნომერ პირველი მოვაჭრის ოჯახმა განცხადება გააკეთა ამანდო კარლოს ფოენტესის გარდაცვალების შესახებ. მას გარეგნობის შესაცვლელად პლასტიკური ოპერაცია გაუკეთდა, ოპერაციიდან 10 საათის შემდეგ კი გულის უკმარისობით გარდაიცვალა. ფოენტესი ამერიკაში კოლუმბიური კოკაინის ყველაზე დიდი გამსაღებელი იყო. ამერიკის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ის ყველაზე ძალაუფლებიანი და დაუნდობელი „ლორდი" იყო. მისი სიკვდილი ნარკობიზნესში პირველობის მოსაპოვებლად სისხლიან შეტაკებებს გამოიწვევს.

# გრძელდება ვულკანის ამოფრქვევა

კუნძულ მონსარაზე გრძელდება ვულკანის ამოფრქვევა, რის გამოც 15 ათასამდე ადამიანი ევაკუირებულია. ოფიციალური მონაცემებით 9 ადამიანი დაიღუპა და ორზე მეტი დაიკარგა. ფერფლმა საფრთხე შეუქმნა მთლიანად კუნძულს.

## ძიება უხარისხოდ ჩატარდა

საქართველოს პროკურატურამ განაახლა უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრის ყოფილი უფროსის ელდარ გოგოლაძის საქმის გამოძიება.

„ძიება უხარისხოდ ჩატარდა და უსაფუძვლოდ იქნა შეჩერებული“ – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პროკურატურის უშიშროების სამინისტროში კანონიერების შესრულებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ანზორ ხვადაგიანმა.

1996 წლის 10 ივნისს უშიშროების სამინისტროში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ელდარ გოგოლაძეც გადიოდა. მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ იცოდა პრეზიდენტზე თავდასხმის მზადების შესახებ და არ მიუღია ზომები ამასთან დაკავშირებით.

„არ გამოვრიცხავ, რომ გამოძიება განგებ შეჩერდა უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიერ“ – თქვა ხვადაგიანმა. მისი თქმით „პროკურატურა იტყვის თავის სიტყვას და დამნაშავეები დაისჯებიან“. (პრაიმ-ნიუსი)

## ბაქოში მიმდინარეობს საქართველოს მოქალაქის სასამართლო პროცესი

ბაქოში მიმდინარეობს საქართველოს მოქალაქის სალიმენ იბრაგიმოვის სასამართლო პროცესი. მას რუსეთის სასარგებლოდ შპიონაჟში ედება ბრალი, კერძოდ, კი რუსეთის მხარისათვის აზერბაიჯანის შესახებ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინფორმაციების გადაცემაში. მან, აგრეთვე, აზერბაიჯანში ჩეჩენი მებრძოლების მკურნალობის თაობაზეც აცნობა მოსკოვს. სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. (მოამბე-ექსპრესი)

## ლტოლვილებისათვის დახმარების განაწილებაში კორუფციაა გამეფებული

„ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული და მატერიალური დახმარების გაწევის სფეროში კორუფციაა გამეფებული“ – თქვა საქართველოს პროკურატურის კოლეგიის გუშინდელ სხდომაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა ანზორ ლაცუზბაიამ.

მაგალითისათვის მან მოიყვანა 1995–96 წლების შემთხვევა, როდესაც ზუგდიდის ბანკებმა ლტოლვილებზე არ გასცეს 650 ათასი ლარის დახმარება.

ლაცუზბაიას თქმით, „კვლავაც ხშირია ყალბი დოკუმენტების გამოყენების, დახმარების გაუცემლობის შემთხვევები“.

აღნიშნული ფაქტების აღმოფხვრის მიზნით ლაცუზბაიას აუცილებლად მიაჩნია ლტოლვილთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვაზე ყურადღების გამახვილება. (პრაიმ-ნიუსი)

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

# ჩეკისტური მეთოდები და პოლიტიკური სამზღვრო

## ფილიპ ბობკოვი

მეექვსე გვერდიდან

რის მიზეზი კორუფციისა და კარიერიზმის ზრდა იყო, რომლებიც ათწლეულობის განმავლობაში სულ უფრო და უფრო იდგამდა ფესვებს ქვეყანაში. ეს აფერხებდა პროგრესს. სოციალისტური იდეის ამ ხორცმეტებისაგან განთავისუფლებაზე ოცნებობდა ივანდროპოვი. შემთხვევითი არ იყო, რომ ჟურნალ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში აცხადებდა; საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: „როგორ საზოგადოებაში ვცხოვრობთ?“. სოციალიზმის უარყოფაზე იქ არ იყო ლაპარაკი.

კორუფცია, სიყალბე, დაუფარავი მლიქვნელობა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დაიბადა და როგორც ცეცხლი, ისე მოედო ქვედა სართულებს. დაიწყო ნამდვილი შეჯიბრება, ვინ უფრო ასიამოვნებს უფროსობას. საქართველოში ბრეჟნევს აჩუქეს ძვირფასი სუვენირი *(როგორც ამბობენ, ეს იყო ოქროს სამოვარი)* და სულ მალე სხვა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა უფრო ძვირფასი საჩუქარი გაუმზადა.

რანგით დაბალი ჩინოვნიკები, შესაბამისად, უფრო იაფიან საჩუქრებსაც სჯერდებოდნენ. პარტიის უზბეკეთის ცკ-ს პირველმა მდივანმა რ.რ.რაშიდოვმა მასთან „სტუმრად“ მყოფ აპკირილენკოს მისი მეუღლისა და ქალიშვილისათვის უნიკალური კარაკულის ქურქები მიუძღვნა. ანტიკვარიატთა და სიძველის მოყვარულებიც გამოიძებნენ.

ვერ ვიტყვი, რომ ამგვარად პარტიული მუშაკების უმრავლესობა იქცეოდა. მათ შორის ბევრი იყო ნამდვილი კომუნისტი, უანგარო და პატიოსანი ადამიანი, ვისთვისაც მორალური პრინციპები უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ყოველდღიური კეთილდღეობა. სამწუხაროდ, ნომენკლატურულმა ზნეობამ ნამდვილი კომუნისტებისათვის არასასურველი იმიჯი შექმნა. ამიტომ განსაკუთრებით საწყენია, რომ პარტიას, ჭეშმარიტ კომუნისტებს, იმათ, ვინც პატიოსნად ემსახურებოდა სამშობლოს, ასე გაუფუჭდათ სახელი.

ყველაფერი იმის მანიშნებელი იყო, რომ ქვეყანაში მწიფდებოდა, ხოლო ბევრგან უკვე ღრმადაც გაიდგა ფესვები ისეთმა საზოგადოებრივმა ბოროტებამ, როგორიცაა კორუფცია. არ ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა პერიფერიებში, ყველაფერი ცენტრიდან იწყებოდა. ამგვარი საქმეების გამოძიებისას სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, მთავარ როლებს მმართველი ფენის წარმომადგენლები თამაშობდნენ, კერძოდ, სსრკ შსს მინისტრი შჩოლოკოვი.

ერთი დანაშაულის გახსნისას საინტერესო ფაქტს შევეჩეხეთ. საქმე ეხებოდა ხატების საზღვარგარეთ გაყიდვას. მსხვილმა საქმოსანმა, რომელიც დიდ ფულს ატრიალებდა, შეძლო მრავალი ფასეულობის გადაგზავნა საზღვარგარეთ. მისი „მოღვაწეობის“ ერთი ასეთი ეტაპის შესწავლა დაევალა სსრკ შსს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს. იგი გულდასმით სწავლობდა ხატებს, აწარმოებდა აღწერას, არჩევდა განსაკუთრებით იშვიათ ეგზემპლიარებს.

მისი ზოგიერთი მოქმედება საეჭვოდ მოგვეჩვენა. ჩანდა, რომ რაღაცნაირად ის პირადად იყო ამ საქმით დაინტერესებული. წავედით რისკზე და მის ბინაზე ჩავატარეთ ჩხრეკა, პროკურორისა და შსს მინისტრის მოადგილის შუმილინის სანქციით. გაიჩხრიკა გამომძიებლის სამსახურებრივი კაბინეტი და აღმოჩენილი იქნა მოპარული ხატები. როგორც შემდეგში გაირკვა, ამ ხატების დიდი ნაწილი შჩოლოკოვისათვის იყო გადანახული. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩავარდნის შემთხვევაში შჩოლოკოვი მას დაიცავდა.

შჩოლოკოვმა რაღა ჰქნა? იგი უბრალოდ გაჩუმდა, თითქოს ეს მას არ ეხებოდა და საერთოდ არავითარი რეაქცია სსრკ შსს შენობაში, ოგარიოვის 6 ნომერში ჩატარებული ჩხრეკის თაობაზე არ გამოუმჟღავნებია.

მომხდარის შესახებ ანდროპოვმა მოახსენა ბრეჟნევს და ამით ყველაფერი დამთავრდა.

სახელმწიფო, პარტიულ და საბჭოთა აპარატებში გამეფებული მექრთამეობის შესახებ ლაპარაკობდნენ ყველგან. ზოგიერთ რესპუბლიკაში გარკვეული ფასონებიც არსებობდა, ვთქვათ, პარტბილეთის მისაღებად. მე მაგონდება ერთი საუბარი ბაქოში ჰეიდარ ალიევთან, აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ს პირველ მდივნად არჩევიდან სამი წლის შემდეგ. უნდა ითქვას, რომ იგი ცდილობდა კორუფციასთან ებრძოლა და მიუხედავად ამისა, ჩემს შეკითხვაზე, ბევრის გაკეთება მოახერხა თუ არა, ალიევმა მიპასუხა:

– შესაძლოა მხოლოდ ერთი რამის გარანტია მოგცეთ – *აზერბაიჯანის პარტიის ცკ-ში ქრთამებს არ იღებენ.*

ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ არაერთხელ აუმაღლებიათ ხმა რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელებს. ამის შესახებ არაერთხელ თქმულა საკავშირო თათბირების ტრიბუნიდან. კორუფცია, მექრთამეობა, მიწერები არ იყო უცხო ხილი უზბეკეთში, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში. რა თქმა უნდა, მოსკოვშიც შესაბამისი სიტუაცია იყო გამეფებული. კორუფციის ბაცილა სისხლს სწოვდა ხელისუფლებას, პარტია კარგავდა ავტორიტეტს ხალხის თვალში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# შაყირვორდი



მხოლოდ დაზვერვაზე: 1. კუზიანი სიგარეტი; 3. „ალმოდებული“ „დატორილი“ კაციჭამია; 11. „იურის მიმდევარი“ კანონის მცველი; 13. კეტჩარტყმული მუქთახორობა; 14. „რძლის“ აკრძალული ზონა; 16. „დასაჯდომად“ შეურაცხმყოფელი საწებელი; 17. მდუღარე წვენი; 18. ჯანიანი ბადრის საჭმელი; 19. იას ფულიანი ყვავილი; 21. მეგრული წარმოშობის ოსი ცოლი; 23. „ბარის“ მოყვარული მომღერალი; 25. მხატვარი, რომლის ცოლი ვართუშა ეგონათ; 27. აიენიანი კუნძული წყნარ ოკეანეში; 33. სპორტი, რომელსაც ვაჟა ზაზაეეიჩმა ვერაფერი გაუგო; 34. არიების შემსრულებელი ლუდი; 36. სასეირნო, დასასვენებელი, ჩასადები, სატარებელი, დასაკეცი; 38. თხა, რომელსაც მგელი ჭამს; 39. ტარგაყრილი ბრალიანი სრუტე; 40. უდაბნოში მჯდომარე საოცრება; 41. გადმოწოდებულ-გამოსაცლელი სასმისი; 42. თოვლიანი მხარე, რომელსაც მუქარით აქეთ ატოვინებენ.

სარგადაყლაპული: 1. მფრინავი ბიძია-ბაბუა გარიყულიდან; 2. პლანეტარული ქალაქი; 4. „ფულიანი“ ჩასარჭობი; 5. ბავშვობიდან ქვევრში მჯდარი პატიმარი; 6. რა აკლია ნალს დედნამდე; 7. სპორტსმენი, რომელიც ძვირფასი ქვების წონით კატეგორიაში გამოდის; 8. გამოტვინებული აეი ხილი; 9. წყლის „ნაკადი“; 10. ბალტიისპირეთის ფეხბურთელთა „დამლაგებელი“ გუნდი; 12. „პლაშიანი“ გუფთა; 15. იზაურას მეგრული წარმოშობა; 20. სიმწიფეში გასაცემი საბუთი; 22. შავი სახელი (მეგრ.კავშ.); 24. იას გასალაღებელი ადგილი; 26. წყობილება, რომელიც 70 წლის ასაკში გარდაიცვალა; 28. დასაჭრელი გარშემორტყმა; 29. ცეცხლის „კანიანი“ მფრქვეველი; 30. ალმოდებული საინფორმაციო გადაცემა; 31. ზრდილობიანი ძეხვი; 32. ჯოჯოხეთის „პროჟექტორი“; 35. ძრავი, რომელსაც დაქოქვა არ უნდა; 36. მარილის მოქეიფე ძმაკაცი; 37. ქალი, რომელსაც ვილაცამ აწყენინა (გამოთქმა).

**დათა კოზია**

## წინა ნომრის პასუხები

მხოლოდ დაზვერვაზე: 1. ალია; 3. ჭალი; 4. გრენლანდია; 9. ასურეთი; 10. კაჭკაჭი; 13. ოთხი; 14. ტაშტი; 15. იაქე; 16. ცანგალა; 17. ქისა; 19. საათი; 20. ძაფი; 21. წიქარა; 23. სარე; 25. ფირმანი; 27. ჭიჭიკო; 28. სირია; 29. სილა; 30. ხეჩო; 32. ტუზი; 37. ნაპო; 38. ანანასი; 39. ქოსა; 41. იგავ-არაკი; 42. გოგლიმოგლი.

სარგადაყლაპული: 2. ლასკალა; 3. ჭრიჭინა; 5. ნამორაძე; 6. აკაი; 7. მედიცინა; 8. შაბიამანი; 11. იქსი; 12. ბრაზილია; 18. ბისკვიტია; 19. საფრანგეთი; 22. აპოლონი; 24. არისტო; 26. ნანი; 29. სიგარა; 31. ენა; 33. ზაქრო; 34. მადა; 35. ტაფა; 36. ტილი; 40. პი.

## ვაჟა ხაჭაპურიძეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

გუშინ უზენაეს სასამართლოში 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს შიდა ქართლში, ვაჟა ხაჭაპურიძეს.

ხაჭაპურიძეს წინასწარი გამოძიება სამშობლოს ღალატში, ხალხისათვის მთავრობის ძალით დამხობისაკენ მოწოდებაში, იარაღის უკანონო ტარებაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და სხვა დანაშაულებში სდებდა ბრალს.

საბოლოოდ, სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად ცნო, რომ იგი შიდა ქართლში რწმუნებულად გაგზავნის შემდეგ უფასოდ ცხოვრობდა გორის სასტუმრო „ინტურისტში“, სადაც 4 თვის განმავლობაში უკანონოდ შეიარაღებული 12-15 კაციანი დაცვა ჰყავდა.

წინასწარი გამოძიების ვერსიით, რაც სასამართლომ არ გაიზიარა, ხაჭაპურიძემ საპრეზიდენტო არჩევნების დროს სამეგრელოში პანტელეიმონ გიორგაძის მხარდასაჭერად ერთ-ერთი გამოსვლისას ხალხს მთავრობის ძალით დამხობისაკენ მოუწოდა.

გარდა ამისა, მან ამიერკავკასიის კონტრდაზვერვის უფროსს, ევგენი მარუსინს გააცნო თურქეთში საქართველოს კონსული, ალ.ჯანჯღავა. მათ თითქოს მოილაპარაკეს, რომ ჯანჯღავა თავისი სამსახურიდან მარუსინს საიდუმლო ინფორმაციებს მიაწვდიდა. სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ჯანჯღავამ არ უარყო, რომ მარუსინი ხაჭაპურიძისაგან გაიცნო, თუმცა უარყო მასთან ყოველგვარი უკანონო კავშირი.

რაც შეეხება რუსეთის კონტრდაზვერვის უფროსის დაკითხვას, ალბათ, ქართველი სამართალდამცავებისათვის ეს შეუძლებელი იქნება. განაჩენის ამ ნაწილში საქმე ხელმეორე გამოძიებაში დაბრუნდა. (პრაიმ-ნიუსი)

## დახმარება სქესობრივი კავშირით გადამდები დაავადებით დაავადებულებს

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის მიერ სქესობრივი კავშირით გადამდებ დაავადებებთან ბრძოლის ახალი პროგრამით გათვალისწინებულია დახმარების გაწევა 5 ათასი პაციენტისათვის.

პროგრამა ორ ეტაპს მოიცავს, პირველი ითვალისწინებს ფართო კვლევით-პროპაგანდისტული სამუშაოების ჩატარებას 15-25 წლის ახალგაზრდებში, ხოლო მეორე – „მეორადი პროფილაქტიკა“, რომელშიც შედის საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად კვალიფიციური მედპერსონალის მომზადებას.

აღნიშნული დაავადებების დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით წითელი ჯვარი ვალდებულებას იღებს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების სათანადო მედიკამენტებითა და ლაბორატორიული აღჭურვილობით უზრუნველყოფაზე.

პროგრამას ჰოლანდიის წითელი ჯვარი დააფინანსებს ამავე ქვეყნის მთავრობის შემოწირულობათა ხარჯზე. (პრაიმ-ნიუსი)


მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444